



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
№11 (435)
(5778)
2017

“הנורה”

עיתון יהודי

בגוריה

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის – ირაკლი კობახიძის ვიზიტი ისრაელში

ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი კობახიძემ პირველი შეხვედრა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ციპი ხოტოველთან გამართა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურების სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ხალხთაშორისი კავშირების, ასევე, ეკონომიკის, განათლების, კულტურისა და ტურიზმის სფეროში ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელობა.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვედრას ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე იული იოელ ედელშტიინთან, ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტ რუვენ რივლინთან, ისრაელი-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარეებთან - ჰილიკ ბართან და იოავ კიშთან გამართავს.

ასევე, დაგეგმილია ირაკლი კობახიძის შეხვედრა ისრაელის სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დელეგაციის წევრებთან ერთად, იერუსალიმის მერს, ნირ ბარკატს შეხვდება.

ირაკლი კობახიძე ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარეს შეხვდა

ქნესეთში ოფიციალური დახვედრის ცერემონიისა და ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ, ირაკლი კობახიძემ ქნესეთის თავმჯდომარესთან, იული იოელ ედელშტიინთან პირისპირ შეხვედრა გამართა.

პირისპირ საუბრის შემდეგ, შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის დელეგაცია და ისრაელი-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარეები - ჰილიკ ბარი და იოავ კიში ესწრებოდნენ.

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების შესახებ ისაუბრეს. მათი შეფასებით, ქვეყნებს შორის პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები უფრო დინამიური ხდება.

შეხვედრაზე საპარლამენტო თანამშრომლობის ურთიერთობისა და ამ მიმართულებით, მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. ხაზგასმით აღინიშნა ქვეყნებს შორის მეგობრობის გაღრმავებაში საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების აქტიური მუშაობისა და გაცვლითი ვიზიტების მნიშვნელობა.

საუბარი, ასევე, რეგიონში არსებულ ვითარებასა და გამოწვევებს შეეხო. იული იოელ ედელშტიინმა ირაკლი კობახიძე ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უწყვეტი მხარდაჭერა დაუდასტურა.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენს ხალხებს შორის 26 საუკუნოვანი, ისტორიული კავშირით და სწორედ ეს ქმნის განსაკუთრებულ მოტივაციას ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერებისთვის. არის ბევრი სფერო, სადაც თანამშრომლობის გაძლიერება შეგვიძლია და უკვე არსებობს მრავალი მიმართულება, სადაც უკვე აქტიურად ვთანამშრომლობთ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ენვია ისრაელს და თქვენს ქვეყანაში ძალიან ნაყოფიერი ვიზიტი ჰქონდა. ჩვენი შეხვედრა ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კონტრიბუცია ჩვენს ხალხებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის გაღრმავებისთვის. გვჯერა საქართველოსა და ისრაელს შორის ძლიერი თანამშრომლობისა და მეგობრობის. ჩვენი მოტივაციაა, საქართველო იყოს ისრაელის ძლიერი პარტნიორი და ეს არის ჩვენი სტრატეგიული ინტერესიც. დელეგაცია საქართველოს პარლამენტის 11 წევრისგან შედგება, რაც ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ინტერესის დემონსტრირებას ახდენს. ასევე, ეს აჩვენებს ქართველი ხალხის სიყვარულს ებრაელი ხალხისა და ისრაელის მიმართ. ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში არიან საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერებიც. ჩვენ ერთმანეთთან მრავალი წინააღმდეგობა გვაქვს, თუმცა, არსებობს საკითხი, რომელზეც ყველა ვთანხმდებით - ეს არის მეგობრობა ისრაელთან“ - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გაფართოებულ შეხვედრაზე.

„ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ძლიერი და სტაბილურია. ჩვენი როლი არა იმაზე საუბარი, თუ რისი გამოსწორებაა საჭირო, არამედ საუბარი იმაზე, თუ რა შეიძლება დამატებით გავაკეთოთ, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო უკეთესი გახდეს. ჩვენ, პარლამენტარებს, საერთო და ერთმანეთის მსგავსი გამოწვევები გვაქვს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ჩვენ საარჩევნო და საკონსტიტუციო რეფორმაზე ვისაუბრეთ, რომელიც ქართულ სისტემას ისრაელის სისტემასთან აახლოებს. ვფიქრობ, საპარლამენტო ურთიერთობები უნდა ასახავდეს ქართველ და ებრაელ ხალხს შორის არსებულ შესანიშნავ ურთიერთობას. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის ფარგლებში

გამართულ შეხვედრებზე განვიხილავთ უსაფრთხოებასთან, გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებს - ეს არის ჩვენი საერთო ინტერესის საგანი“ - განაცხადა ქნესეთის თავმჯდომარემ.

მხარეები მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ირაკლი კობახიძე ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქვეყნის პრეზიდენტს - რუვენ რივლინს შეხვდა.

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებულ ისტორიულ და მჭიდრო მეგობრობაზე ისაუბრეს და თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

საუბარი შეეხო საქართველოსა და ისრაელში არსებულ ვითარებას, ასევე, უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებს. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა გამოწვევებთან გასამკლავებლად კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობა.

რუვენ რივლინის თქმით, ისრაელის სახელმწიფო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მისივე შეფასებით, საქართველო საიმედო პარტნიორი და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანაა გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს პარლამენტსა და ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების შესახებაც. როგორც აღინიშნა, ამ მიმართულებით, აქტიურად იმუშავებენ საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები. გარდა ამისა, ხაზი გაესვა ხალხთაშორისი ურთიერთობისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას.

ირაკლი კობახიძე: საქართველოსთვის ისრაელთან თანამშრომლობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ისრაელის სახელმწიფოში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს აფასებს.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, საქართველოსთვის ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და გამართულ შეხვედრებზე მხარეები ქვეყნებს შორის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის დეტალებზე შეთანხმდებიან.

„ვიზიტის ფარგლებში დღეს შეხვედრები გვექონდა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან. ჩვენთვის ისრაელთან თანამშრომლობას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. ჩვენ გვაკავშირებს უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი კარგი ურთიერთობები, ჩვენ გვაკავშირებს საუკუნოვანი ურთიერთობა ქართველ და ებრაელ ხალხს შორის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობების გაღრმავება.

ძალიან ბევრი გაკეთდა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში იმისთვის, რომ ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში გაღრმავებულიყო - ეკონომიკური თანამშრომლობის, ტურიზმის განვითარების, ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით და ასე შემდეგ.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ამ კუთხითაც ბევრი რამ არის გაკეთებული. ამ ვიზიტის ფარგლებში შევთანხმდებით ასევე სხვა დეტალებზე ჩვენი თანამშრომლობის“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძეს ქნესეთის თავმჯდომარემ ოფიციალურ ვახშაზე უმასპინძლა

„საქართველოს პარლამენტი ყველაფერს გააკეთებს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის“, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ქნესეთის თავმჯდომარის,

რა პრემია გადაეცა ჯორჯ ბუმს?



ამასწინათ ტორონტოში ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუმს ისრაელისა და ებრაელი ხალხის მხარდაჭერისათვის გადაეცა ისრაელის ეროვნული ფონდის „კერენ შა იესოდის“ მზრუნველთა საბჭოს „წინასწარმეტყველ ესაიას“ პრემია. ამ პრემიის ლაურეატთა შორის არიან აშშ ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, ისრაელის ექსპრეზიდენტი იცხაკ რაბინი. აშშ ექსპრეზიდენტს ჯილდო გადასცეს იმ ლაურეატებმა, რომლებსაც ამ ორიოდ წლის წინათ მიენიჭათ „წინასწარმეტყველ ესაიას“

პრემია. ესენი არიან: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მის. მირილაშვილი და დსთ-ს ქვეყნებში „კერენ შა იესოდის“ საპატიო პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკევიჩი. ორივე ლაურეატი გახლავთ „კერენ შა იესოდის“ დიდი შემწიველი. მ. მირილაშვილმა, გარდა იმისა, რომ ჯორჯ ბუმს პრემია გადასცა, ინგლისურენოვანი თანახმად აჩუქა და ივრითზე ექსპრეზიდენტის კურთხევის ტექსტიც წარმოსთქვა.

ჯორჯ ბუმსა დაჯილდოებისათვის დიდი მადლობა გადაიხადა და ისაუბრა იმ პრობლემების თაობაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციის გამო აშშ-სა და ისრაელის წინაშე დგას.

ჯილდოს გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდნენ კანადის ექსპრეზიდენტი სტივენ ხარპერი, ამჟამინდელი პრეზიდენტი ალექსანდრე ტრუდო, გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენელი დანი დანონი.

ამის შემდეგ თავად ჯორჯ ბუმსაც მიიღო მონაწილეობა მიხეილ მირილაშვილისა და ალექსანდრე მაშკევიჩის პრემიით „მაგენ იერუშალაიმით“ დაჯილდოების ცერემონიაში. მიხეილ მირილაშვილი და ალექსანდრე მაშკევიჩი ამ პრემიის პირველი ლაურეატები არიან-იგი მიენიჭებათ იერუსალიმის, როგორც ებრაელი ხალხის დედაქალაქის, სტატუსის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

ისრაელი გადაარჩინაო

იერუსალიმში ჩატარდა ებრაული სააგენტოს, სოხნუთის მზრუნველთა საბჭოს სხდომა. დიასპორის წარმომადგენელი 120 ლიდერი სამი დღის განმავლობაში განიხილავდა მსოფლიოს ებრაული თემების აქტიულო და ისრაელთან ურთიერთობის საკითხებს. როგორც სოხნუთის პრესრელიზი იუწყება, პირველსავე დღის სხდომაზე გამოვიდა ისრაელის ენერგეტიკის მინისტრი იუვალ შტაინიც (ლიკუდი)

იუვალ შტაინიცმა აღნიშნა რომ მიუხედავად სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებისა, კვლავაც გრძელდება ბრძოლა ისრაელის არსებობისათვის. ამავე დროს გრძელდება ბრძოლა ებრაელი ხალხის არსებობის შენარჩუნებისათვის და ამ საკითხების გადამწყვეტად ისრაელის ხელისუფლებასთან ერთად გადამწყვეტ როლს სწორედ სოხნუთი ასრულებს.

სოხნუთის ამოცანა მხოლოდ ის კი არ არის, რომ დაეხმაროს ისრაელში რეპატრაციის მსურველს, მან დიასპორის ებრაელობაში უნდა გააღრმავოს ებრაული თვითშეგნება, ისრაელთან კავშირი. ძლიერი დიასპორის გარეშე ისრაელს არსებობა გაუჭირდება. თუ ისრაელი არ იქნება ძლიერი სახელმწიფო, არც დიასპორას დაადგება კარგი დღე, ჩვენ ერთად, მხარდამხარ უნდა ვიბძოლოთ-თქვა იუვალ შტაინიცმა - ყველაზე კარგი კაპიტალდამანდება ეს არის დიასპორის ებრაელ ახალგაზრდობაში გავაძლიეროთ ებრაული ეროვნულ-კულტურული იდენტიფიკაცია. ჩვენ გავიძახით ალია, ალიაო, რა იქნება 50 წლის შემდეგ თუ დიასპორის ახალგაზრდობას ასიმილაცია დარევეს ხელს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებიდან ებრაელთა რეპატრაციის თაობაზე საუბრისას იუვალ შტაინიცმა თქვა:

ამ ალიამ ისრაელი გადაარჩინა და დღესაც ყოველდღიურად შეაქვს წვლილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურისა და უსაფრთხოების განვითარების საქმეში.

ბიზნეს-ფორუმი ისრაელი-რუსეთი

მოსკოვში რუსეთისა და ისრაელის სამთვრობო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის (თანათვმზღდომარეები რსფსრ ვიცე პრეზიდენტი არკადი დვორაკოვიჩი და ისრაელის გარემოს დაცვისა და იერუსალიმის საქმეთა მინისტრი ზევე ელკინი) ფარგლებში გაიმართა ყოველწლიური ბიზნეს-ფორუმი „ისრაელი-რუსეთი 2017“.



ფორუმი გამართა ისრაელ-რუსეთის საქმიანმა საბჭომ თეიმურაზ ხინინაშვილის, (რომელიც ამავე დროს გახლავთ ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველი ვიცე პრეზიდენტი) მეთაურობით და რუსეთში ისრაელის საელჩოს მონაწილეობით. ბიზნეს-ფორუმზე ბჭობდნენ ისრაელის სახელმწიფოსა და რუსეთის საქმიანი თანამშრომლობის პერსპექტივაზე,

განიხილეს აქტიულო ერთობლივი პროექტები, ბიზნეს-ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხაიმ ბენ იაკობი.

ებრაელობა რუსეთში

რუსეთის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა განაცხადა: — „ლევადა-ცენტრს“ დაუჭვეთეთ ჩატარებინა გამოკითხვა -შერჩევით გამოკითხვა ექვსი ათასი ადამიანი. ამ გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ რუსეთში 1.5 მილიონ ადამიანს ან დედა ჰყავს ებრაელი, ან-მამა, ან ბებია, ან ბაბუა. ეს გამოკითხვა ჩატარდა რუსეთის 100 ქალაქში.

იური კანერი ირწმუნება, რომ გამოკვლევა სავსებით ობიექტურია. რუსეთის ქალაქების მოსახლეობის საშუალოდ 1-1.5 %ებრაული ძირების მატარებელია.

მოსკოვში ებრაელობა 1.5%-ზე მეტია, სოფლებში კი 30.000 ადამიანი ცხოვრობს. ადრე მიიჩნევდნენ, რომ ებრაელები მხოლოდ მოსკოვში, სანკტ პეტერბურგსა და სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრობენ, გაირკვა, რომ ასე არ არის:

ებრაელები ცხოვრობენ დიდ ქალაქებში; სარატოვი, ეკატერინობურგი, ნოვოსიბირსკი, ვლადივოსტოკი, პერმი და ცხოვრობენ პატარა ქალაქებშიც: არხანგელსკი, კალინინგრადი, პიატიგორსკი, ვოლოგდა, ორიოლი, ნიჟნი ტავლი, ტიუმენი, სურგუტი-დასხინა ი. კანერმა.

დასაკეცი ელექტრობილი

ისრაელის კომპანიამ დააპროექტა და ააწყო პირველი დასაკეცი ელექტრობილი. „საქალაქო ტრანსფორმერი“-ს დიამეტრი 1.48 მეტრია, მაგრამ ღილაკზე თითის ერთი დაჭერით, იგი 1 მეტრი ხდება და პარკირებისას მოტოციკლისათვის საჭიროზე მეტ ფართობს არ იჭერს. ორადგილიანი ელექტრობილი საათში 90 კმ სიჩქარეს აწვითარებს. ბატარეის გარეშე მისი წონა 450 კილოგრამია. დამპროექტებლებს ჯერაც არ გადაუწყვეტიათ, თუ რომელი ბატარეით აღჭურვონ ელექტრობილი. საბაზო მოდელი ათი ათასი დოლარი ელირება. ამ ფასში არ შედის ბატარეისა და და ბაჟის ღირებულება.. კომპანია აპირებს შეიმუშაოს სამადგილიანი მოდელიც.

იუნესკო ჰოლოკოსტის უარყოფას შეებრძოლება

იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ირინა ბოკოვამ და მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა რობერტ ზინგერმა 1 ნოემბერს გამოაცხადეს, რომ ორივე ორგანიზაცია ერთობლივად შექმნის ჰოლოკოსტის ახალ ინტერაქტიულ საიტს. საიტის ძირითადი დევიზია „შეასწავლე მეგობარს.“ ახალი ვებპლატფორმა წინააღმდეგობას გაუწევს და ამხელს ჰოლოკოსტის უარყოფელთა სიცრუეს, ფაქტების დამახინჯებულად წარმოდგენას, რომელიც ვრცელდება ინტერნეტსივრცეში.



ახალ საიტზე გამოქვეყნდება ჰოლოკოსტის მსხვერპლთა, შემსწრეთა ნაამბობი განცდელსა და ნახახზე, საიმისო ფაქტები, ჰოლოკოსტის ტრაგედია, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე სამყაროზე.

საქველმოქმედო საღამო ისრაელის არმიისათვის

აშშ ქალაქებში გაიმართა საქველმოქმედო საღამოები, რომლის მიზანი გახლდათ შეწირულებათა შეგროვება ისრაელის არმიის აღჭურვილობის განახლებისათვის.

ნიუ-იორკში ჩატარებულ საქველმოქმედო საღამოზე შეგროვდა 122 მილიონი შეკელი.

ყველაზე რეკორდული თანხა-189 მილიონი შეკელი (54 მილიონი დოლარი) შეგროვდა ერთ საქველმოქმედო საღამოზე, ლოს ანჟელესში „აშშ-ში „ცაჰალის“ მეგობრებს“ შორის. ამ საღამოზე ყველაზე დიდი თანხა- 16.6 მილიონი დოლარი oracle-ს შემქმნელმა და პროგრამული უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა ლარი ელისონმა შესწირა.

საღამო „ბევერლი ჰილტონის“ ელიტურ დარბაზში ჩატარდა, აქ მოვიდნენ ჰოლივუდის ვარსკვლავები, ბიზნესმენები, დიპლომატები, რაბინები, ებრაული თემის აქტივისტები-ყველა, ვინც თავის თავს ისრაელისა და მისი არმიის მეგობრად მიიჩნევს. საღამოზე ისრაელს წარმოადგენდა ისრაელის გენერალური კონსული ლოს ანჟელესში სემ გრუნდბერგი, გადამდგარი გენერალი მერ კლიფი-ამირი, მსახიობი მორან ათასი და „ცაჰალის“ 17 სამხედრო მოსამსახურე, ამათგან უმეტესობა ისრაელში მშობლების გარეშე ჩამოვიდა რომ სამხედრო სამსახური ისრაელში გაიაროს.

—ორი ათასი წლის განმავლობაში ჩვენ — ებრაელობას სამშობლო წართმეული გვექონდა. ვოცნებობდით სამშობლოზე, იერუსალიმზე. დღეს კი გვაქვს სახელმწიფო, რომელიც ეკუთვნის მთელ ებრაელ ხალხს. „ცაჰალის“ მამაცი მეზობლების მეოხებით ეს ქვეყანა საიმედოდ არის დაცული და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ჩვენს მეზობლებს ვაჩვენოთ: ისინი მარტო არ არიან— შეწირულობის გადაცემისას თქვა თქვა ლარი ელისონმა

მეგობრობის ფონდის (კერენ ლე იედიდუთ) დამფუძნებელმა, რაბინმა იესიელ ეინშტინმა, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის (ძირითადად უკრაინის) ქვეყნებიდან ჩამოჰყავს ახალი რეპატრიანტები, „ცაჰალის“ ჯარისჯაცებს 5.5 მილიონი დოლარი გადასცა. სტუმარმა ისრაელელ-ამერიკელმა მენარმემ ხაიმ საბანმა და მისმა მეუღლემ შირილმა 5 მილიონი დოლარი გაიღეს, ხოლო ბიზნესმენმა ბობი ბუკმა 3 მილიონი დოლარი.

ერთ-ერთმა სტუმარმა, რომელმაც ვინაობა არ გაამხილა 9 მილიონი დოლარი გაიღო. ყველა ისრაელის დიდი ხნის მეგობარს, გამოჩენილ მსახიობ არნოლდ შვარცნეგერს მიუბრუნდა, მაგრამ შვარცნეგერმა თავი არ გასცა.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ „აშშ-ში „ცაჰალის“ მეგობრებმა“ ანალოგიური საღამო ჩაატარა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის 35 მილიონი დოლარი შეაგროვა. ასეთი ღონისძიება ყოველწლიურად ეწყობა.

ებრაელებს რაც წაართვის...

ნაცისტების მიერ მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელობისათვის ჩამორთმეული ხელოვნების 450 ნიმუში პარალელურად გამოიფინა ორ საგამოფენო დარბაზში- შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში და გერმანიაში-ბონში.

2012 წელს საგადასახადო ინსპექტორებმა ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს ხელოვნების 1500 ნიმუში. ამათ შორის იყო მონეს, გოგენის, რენუარის, სეზანის და პიკასოს ნაწარმოებები. ეს კოლექცია ინახებოდა გერმანელი პენსიონერის კორნელიუს გურლიტის, ქალაქ მიუნხენის ბინაში და ზალცბურგის სახლში. ბევრი ნახატი უკვე ცუდ მდგომარეობაში იყო-ზოგიერთს ობიექტი მოსდებოდა-კორნელიუსის მამა ჰილდებრანდტი 1938 წლიდან-ნაცისტების ბატონობის დროიდან — არტილერად მსახურობდა.

კორნელიუსი დროდადრო ცალკეულ ნახატებს ყიდდა. იგი 2014 წელს გარდაიცვალა.

ბერნში გამოფენილია ნახატები, რომლებსაც ნაცისტები „დეგენერატულ ნახატებად“ აცხადებდნენ და კოფისკაციას უკეთებდნენ იმ მიზნით, რომ მერე უცხოეთში გაეყიდათ, ბონში კი ის ნახატები გამოჰფინეს, რომლებიც ჰოლოკოსტის მსხვერპლთ ჩამოართვის ბინაში და ზალცბურგის სახლში. ბევრი ნახატი უკვე ცუდ მდგომარეობაში იყო-ზოგიერთს ობიექტი მოსდებოდა-კორნელიუსის მამა ჰილდებრანდტი 1938 წლიდან-ნაცისტების ბატონობის დროიდან — არტილერად მსახურობდა.

სახეები და სიტუაციები

გურამ ბათიაშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №9,10)

თემურ საპირი (სეზიაშვილი)

ლიმილიანი და ფიქრიანი კაცია. ფიქრიანი კაცი კი არასოდეს ხმაურობს. მასზე ამბობენ, ბიზნესში დიდ წარმატებას მიაღწია და მდიდარიაო, მაგრამ მე მასში სხვა სიმდიდრე დავინახე: საოცარი უბრალოება, უბრალოება და აზროვნების სიციხეა. მან კიდევ ერთხელ დამარწმუნა სულიერი კეთილშობილების რაობაში. არაფერია იმაზე საშინელი, როცა უფიქრო კაცი გამდიდრდება, ან შემოქმედებით, თუ პოლიტიკურ სარბიელზე რაიმე წარმატებას მიაღწევს: ისე დადის, ისე იქცევა, ადამიანებთან თავი ისე უჭირავს, თითქოს არა-რა ქალს არასოდეს მისი მსგავსი არ უშვია. ეს კი, თემურ საპირი, უბრალოა, უხმაურო, ადამიანს ყურადღებით უსმენს, ფიქრიან მზეურას მიაპყრობს.

ამბობენ, ნიუ-იორკის სინაგოგას დიდ ფინანსურ დახმარებას უწევსო. აქ იგი ყველას მეგობარია, ყველას გულითადად ესალმება, ებაახება. როგორც ჩანს, მან იცის ყველაზე დიდი სიბრძნე: იგი ადამიანთა, ქვეყნიერებას კი ერთადერთი გამგებლობს. ნახატი ვაჩუქე. ზედ თბილისის ხედი იყო. ადამიანმა, რომელსაც შინ დიდი მხატვრების დედნები უკიდია, ეს საჩუქარი ისე მიიღო, ისე გულწრფელად გაიხარა და დააფასა, რომ მოხიბლული დავრჩი. ე.ი. მისთვის ფასეული ყურადღებაა. იგი ზრუნავს და ფიქრობს ქართველ ებრაელობაზე, მაგრამ ეს ზრუნვა არ არის კონიუნქტურული, მას აქვს სტრატეგია, ამ სტრატეგიის მიხედვით, ქართველმა ებრაელობამ უნდა გააღწიოს დიდ კუნძულზე, მაგრამ შეძლებს კი მის განხორციელებას, როცა ირგვლივ მომხმარებლური სულისკვეთების ადამიანი მეტია, ვიდრე შემქმნელი? თემურ საპირმა კი ისეთი რთული გზა გაიარა სტუდენტო-ჟურნალისტიდან მილიარდერობამდე, რომ ვერ იგუებს მოლაყბეთ და უსაქმურთ-ძალიან მომეწონა ის, რაც ამასწინათ მიაშვეს მასზე: თურმე ნიუ-იორკში ჩასული ემიგრანტი ქართველები, თუ ქართველი ებრაელები დაუსაქმებია. გასაგებია, რატომაც გააკეთა ეს: ადამიანებს არა მხოლოდ ლუკმაპური, ცხოვრების ხალისი გაუჩინა, თავის გამოჩენისა და დანინაურების საშუალებაც მისცა, მაგრამ...

იმათ თურმე, არა შრომის კულტურით, აქაოდა ჩვენთანაო, უსაქმურობით, გაცდენებით, ზედაპირულობით გამოიჩინეს თავი.

ყველას ერთდროულად უჩვენა გზა. გულისმომჩვენელი იყო, 2009 წელს თბილისის აშქენაზთა სალოცავის გახსნაზე მასთან შეხვედრა. ლამის ვერ ვიცანი — ავადმყოფობას შეეცვალა მალე წუთისოფელს გაეცალა კაცი, რომელიც ძალიან სჭიროდა ქართველ ებრაელობას.

მიხო მირილაშვილი

ამ გრძობას სიკეთის ქმნის გადამდებ ძალას დავარქმევდი- კვლავაც განმეორების (ამჯერად უკვე შენს მიერ) ღირს ცხოვრების წესს, იგი ადამიანში აღძრავს სურვილს, თავადაც ეცადოს ანალოგიური რამ თავისი ხალხისათვის. მას შემდეგ, რაც მიხო მირილაშვილის ქმედებამ ამგვარი იმპულსი განმიახსნა, კარგა ხანი გავიდა. ჩემში აღრიდანვე არსებული ეს სულისკვეთება, იმ ღამემ კიდევ უფრო გააძლიერა და დამარწმუნა, რომ ადამიანი აქეთ უნდა ილტვოდეს.

ეს ამბავი ასე იყო: გარდასული საუკუნე უკვე ილეოდა, სწორედ მოახლოებული ასწლეულის კვირბადალზე მიხო მირილაშვილმა რამდენიმე ადამიანი-ისრაელიდან, აშშ-დან, ავსტრიიდან, საქართველოდან ხანუქის დღესასწაულზე პეტრე დიდის ქალაქში მიგვიწვია. გარდა ხანუქის ზეიმზე დასწრება-მონაწილეობისა, ამ ქალაქში ერთი დიდი საქმე გვედო ნინ- მსჯელობა საქართველოს ებრაელთა კონგრესის შექმნის თაობაზე: მიხოს-იმ წლებში რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტს, განზრახული ჰქონდა საქართველოს ებრაელთა კონგრესის შექმნა. სანქტ-პეტერბურგში უნდა გვემსჯელა იმაზე, თუ როგორ, რა პრინციპით, მსოფლიოს ებრაული ორგანიზაციების რომელ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება შექმნილიყო საქართველოს ებრაელობისათვის ეს ერთობ მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რა სპეციფიკა უნდა გათვალისწინებულიყო იმის გამო, რომ მიხოს ენადა კონგრესის ცენტრი ისრაელში ყოფილიყო და არა რომელიმე იმ ქვეყანაში, რომელიც ქართველმა ებრაელობამ მოიყარა თავი. მიხო მირილაშვილი ერთობ სერიოზულად ეკიდებოდა ამ საკითხებს, აინტერესებდა ყოველი დეტალი, ცდილობდა მიახლოებით მაინც ამოეცნო მოსალოდნელი შედეგი-ქართველ ებრაელობაში რაგვარ ტენდეციას დაუდებდა სათავსს, რას მოუტანდა მას ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. სწორედ იმ დღეებში იქნა მიღებული ესოდენ ცნობილი „სანქტ პეტერბურგის დეკლარაცია“, რომელიც გარდა იმისა, რომ გახლდათ სათავის დამდები ახალი მოძრაობისა, ქართველ ებრაელობას მოუწოდებდა, გამართულიყო მსჯელობა ამ საკითხზე.

ხანუქის ერთ-ერთ საღამოს, ვგონებ, 25 დეკემბერი გახლდათ, მიხომ პეტრეს ქალაქის უზარმაზარ საკონცერტო დარბაზში — „ოქტიბრსკაია“, ხანუქისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა. იყო ცვენა გუბერნატორ-ქალაქის მერისა, თუ სხვა მაღალჩინოსნების, გამოჩენილი მოღვაწეებისა, მოლოცვები და ებრაელობის შემოქმედები, მათი ღირსებებისა და დამსახურებებისა წარმოჩენა. და ეს ხდებოდა ქალაქში, რომელშიც გუშინ „პამიატი“ ებრაელობას ძილს უფრთხობდა (იმდენად დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ „პამიატი“ ხვალ-ზეგ რუსეთში ებრაელთა დარბევებს დაიწყებდნენ, ერთ მოსკოველ მეგობარს დავურეკე, ბავშვი მაინც გამოგზავნე, ჩემთან უსაფრთხოდ რომ იყოს-მეთქი!) მკითხველი, ალბათ, ჩემი შეხსენების გარეშეც მიხვდება, რომ კომპარტიის მზე ჩასვლის პირას იყო-ხალხს მისი აღარც სჯეროდა და აღარც ესმოდა, ებრაელთა უმეტესობა საკუთარ ფესვებს უბრუნდებოდა. ხანუქის საღამო რომ დამთავრდა და ხალხი გასასვლელს მიეტანა, გასახდელში იხილა ის, რაც აქამდე ბევრს არ ენახა-მაგიდებზე უამრავი ხანუქია იდგა ასზე მეტ შანდალში სახანუქე სანთლები ჩაელაგებინათ და ახალგაზრდები, რელიგიური სასწავლებლების მონაფეხები-„იემიბოტნიკები“ ებრაელებს სანთლების ასანთებად და საკურთხებლად უხმობდნენ — ზეიმის მონაწილეებს სახანუქე სანთლებს ანთებინებდნენ, კურთხევის ტექსტს კარნახობდნენ და მე ვხედავდი; ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში პირველად (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბევრმა მონაწილემ დღესასწაულისა, იმ დღეს გაიგო, თუ რა არის ხანუქა, რას

ზეიმობს ხალხი) ანთებდნენ ხანუქის სანთელს, რაოდენი სიამოვნებით, მზერა-გაბრწყინებულნი იმეორებდნენ „იემიბოტნიკების“ მიერ ნაკარნახევ სანთლის კურთხევის ტექსტს.

კოტე მარჯანიშვილი-ქართული თეატრის რეჟორმატორი, დიდი რეჟისორი, ადამიანისადმი სიხარულის მინიჭებას, უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა-ხელოვნების მთავარ მისიად მიიჩნევდა. დრამატურგი ვარ, თეატრში ჩემი პიესის დადგმისას, ყოველთვის არა, მაგრამ არცთუ იშვიათად, მინახავს, მაყურებელი რაოდენ სიხარულმორეული, ბედნიერებას ნაზიარები ტოვებს დარბაზს, ამიტომ კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს, თუნდაც რამდენიმე წუთით ბედნიერ-ჰყო ადამიანი.

ხანუქის იმ საღამოს „ოქტიბრსკაიდან“ ადამიანები გასასვლელს სიხარულ-მორეული მიაშურებდნენ-დღეს ისინი ეროვნული ტრადიციული ფოიერვე-კული დღესასწაულის მონაწილენი იყვნენ, ეროვნულ საგანძურს ხელიც კი შეახეს-აღმოაჩინეს, ვინ არიან, საიდან მოდიან. თუ ადამიანს ძალუძს ასობით, ათასობით თანამოძმეს მინიჭოს სიხარული, აპოვნინოს საკუთარი ფესვები, ეს იმას ნიშნავს, რომ ასრულებს იუდაიზმის ერთ-ერთ თეზას-მის გარემომცველ სამყაროს გარდაქმნის უკეთესობისაკენ. იმ საღამოს ამ სიხარულის მიმნიჭებელი მიხო მირილაშვილი გახლდათ, თავად კი სახეზე სიამოვნების ღიმილ-გადაფენილი შესცქეროდა, მისი ხალხი როგორ ხარობდა. ვგონებ, სწორედ ის მომენტია იდგა, რაზეც იუდაიზმის მეფე დავითი, 49-ე ფსალმუნში ბრძანებს: მდიდარი კაცის სული სიცოცხლეშივე იკურთხებაო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიხო მირილაშვილი უამრავ ებრაულ ორგანიზაციას აფინანსებს, დიდ ძალისხმევას მიმართავს იმისათვის, რომ ქართველი ებრაელობა უკეთ წარმოჩინდეს- რელიგიური ტრადიცია განმინდოს მინარევებისაგან, ადამიანებმა შესძლონ ტრადიციისა და მინარევების ერთმანეთისაგან განცალკევება. საუკუნეებია დიასპორაში ვცხოვრობთ და უმეტეს შემთხვევაში მინარევი ტრადიცია გვგონია.

ქართველ ებრაელობას, გვყავდნენ და ღვთის მადლით, დღესაც გვყავნან, ეროვნული სულისკვეთებით აღვსილი ადამიანები, ბიზნესმენები, რომლებიც საჯამათო საქმისათვის დიდ ფინანსურ ძალისხმევას მიმართავენ. თავს იმის უფლებას არ/ვერ მივცემ ვთქვა, ვინ მეტია და ვინ - ნაკლები, ეს ჩემი საქმე არ არის (ამას ჰაიკარა, ხმაურიანი ადამიანები უცებ აკეთებენ-ხუთიოდ წუთში ჩამოგინიკნიკებენ, ვინ რომელ ადგილზეა, თითქოს ცხოვრება სპორტული შეჯიბრი იყოს!), იმას კი ვიტყვი, რომ მიხო მირილაშვილი ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ებრაელობის (და არა მხოლოდ საქართველოს ებრაელობის) ცხოვრებაში. ზოგჯერ იგი სახელმწიფო ორგანოების გასაკეთებელ საქმესაც კი აკეთებს. კარგად მახსოვს, ბიბლიური მეფე დავითის შეგონება: ქველმოქმედება ღვთისთვის მიცემული სესხიაო. დიახ, ის, ვინც დიდ ქველმოქმედებას ეწევა, უზენაესს სესხს აძლევს. ხშირად მიფიქრია: ის, რასაც მიხო მირილაშვილი აკეთებს, ქველმოქმედებაა, თუ ებრაელობის მომავალში ჩადებული ინვესტიცია-ქართველი ებრაელობის სულიერების ამაღლებისათვის განხორციელებული ინვესტიცია, მაგრამ შემინდოს ჩემმა ზოგიერთმა ნაცნობმა: ან ამ ინვესტიციის არსი არ ესმით, ან შენ-ჩემობის, პირადულის წინ წამოწევას ამჯობინებენ.

ამასწინათ მიხო მირილაშვილი ევრაზიის ებრაელთა კონგრესს ჩაუდგა სათავეში. ამ კონგრესში დაარსების დღიდან ვარ, კარგად ვიცნობ მის ბიოგრაფიას. აღუქსანდრე მამუკევიჩის შემდეგ პრეზიდენტები უცებ მოდიოდნენ და ასევე უცებ მიეფარებოდნენ თვალს. სულაც არ მინდა რომელიმე მათგანზე აუგი ვთქვა-ლმერთმა დამიფაროს! ალბათ, მათაც ისევე ამოძრავებდათ თავიანთი ერის სამსახურის სურვილი, როგორც ალ.მამუკევიჩს, მ.მირილაშვილს, მაგრამ განსხვავებას მაინც ვხედავ: მიხო მირილაშვილმა ყველაფერი ჯერ კარგად, ღრმად, ძალიან დანერვილებით შეისწავლა, გარდაქმნის გზებიც თავადვე გამოიხსნა, და როცა კონგრესი უკეთესისაკენ წარმართა, მაშინ განაცხადა თანხმობა პრეზიდენტობაზე.

და დღეს იგი უზარმაზარი საერთაშორისო ორგანიზაციის (ევრაზიის ებრაელობის კონგრესი 27 სახელმწიფოს ებრაელობას აერთიანებს), ხელმძღვანელია. რას ნიშნავს ეს? მ.მირილაშვილმა დიდი პასუხისმგებლობა აიღო თავზე და ამით მსოფლიოს ებრაელ ლიდერთა პირველ მწკრივში ჩადგა. ეს დიდებული-ქართველი ებრაელი ასეთ სიმაღლეზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ეს საძიშიც არის: როგორც იქნება მიხო მირილაშვილი-ამოდენა საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციის პრეზიდენტი, როგორ კვალსაც იგი გაავლებს ამ მოძრაობაში, ისეთივე იქნება მსოფლიოს ებრაელ ლიდერთა შეხედულება ქართველ ებრაელობაზე.

აქედან გამომდინარე, დღეს მსოფლიოს ებრაელ ლიდერთა პირველ მწკრივში მხოლოდ მიხო მირილაშვილი არ დგას, პირველ რიგში ვდგევართ ჩვენ -ყველა ერთად-ქართველი ებრაელობა, ამიტომ ერთად ვევედროთ მამაზეციერს, რომ ეს გზა სახელგონად გავიაროთ.

როინ მეტრეველი

როინ მეტრეველი რომ ერთობ დაკვირვებული, სიღრმეებში მხედვარე მეცნიერია, ეს უჩემოდაც კარგად იცის ქვეყანამ. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გახდებოდა, ვერც პროფესორი და ვერც -აკადემიკოსი, სწორედ იმ წლებში, როცა ამ სამეცნიერო ნოდებებს ნამდვილი მეცნიერები, ნამდვილი სწავლულნი ღებულობდნენ. განა დღევანდელი იყო: თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის ძეგლამდე ფეხით მიმავალს ხუთი კაცი მაინც გაცნობებს ამ დღეებში აკადემიკოსობა მომანიჭოსო.

როინ მეტრეველი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის სანდო მკვლევარია, ამ დიდ მეფეებზე დაწერილი კარგი ნიგნების ავტორი. ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი და არა ვგონებ, ჩემმა ეპითეტებმა მის სახელს რაიმე შემატოს. აი, ის კი უნდა იყოს ღირსების შემმატებელი, რამაც ამ ბოლო წლებში ძლიერ დამაკავშირა ამ პიროვნებასთან-როინ მეტრეველი საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი, მე კი, როგორც ადრინდელ საქართველოში იტყობდნენ, მისი ამხანაგი. ძლიერ გვნადა, საქართველო-ისრაელის ურთიერთობა კვლავაც ისტორიული გამოცდილებითა და გზით ვითარდებოდეს, სწორედ ამისთვის არსებობს ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არაერთხელ ყოფილა ასეთი რამ: რაიმე მოსაზრებით, წინადადებით მივსულვარ პრეზიდენტთან-ესათუის მოსაზრება გამიზიარებია მისთვის-ინიციატივები უმეტესწილად ეხებოდა ისრაელის, როგორც სახელმწიფოს ინიჯის ამაღლებას.

საქართველოს მოსახლეობაში ისრაელი ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ იყო წლები, როცა სახელმწიფოს, ან მისი ლიდერებს (არიელ შარონი, ბინიამინ ნეთანიასჰუ) ევროსაბჭო, ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურნი, იხსენიებდნენ, როგორც პალესტინელი ხალხის დამპყრობთა და მჩაგვრელთ (არიელ შარონზე ფილმს რომ ვიღებდით, ორი-

სამი ევროპული სახელმწიფოს ელჩმა ფილმის დამდგმელ რეჟისორს მერაბ კოკოჩაშვილს, პირდაპირ განუცხადა, როგორ შეიძლება პალესტინელთა დამორჩილება, არადემოკრატიული ბუნების პოლიტიკოსზე ფილმის გადაღება. ჩვენი საზოგადოება, ბატონი როინ მეტრეველი სწორედ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში აკეთებდა ისრაელის იმიჯის ამამალლებელ განცხადებებს. ეს განცხადებები ვრცელდებოდა და ვერ ვიტყვი, ავისმოსურნეთა ხმას ფარავდამეთქი, მაგრამ გარკვეულ ზეგავლენას რომ ახდენდა, დარწმუნებული ვარ. ამჟამად პრეზიდენტს ბარაკ ობამას რვა წელიწადი ბინიამინ ნეთანიაჰუს სახელის გაგონებაც კი აღიზიანებდა, დღეს აღიზიანებს ევროპული სახელმწიფოების ზოგიერთ ლიდერს. ჩვენი რეაქცია ყოველთვის უცვლელია: მასთან ამათუიმ წინადადებით მისულს, არ მახსოვს შემთხვევა, თუნდაც მცირე ყოყმანისა. უთქვამს: „თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, გავაკეთოთ!“ და ვაკეთებთ.

მხარდაჭერა, ვისიც არ უნდა იყოს, ყოველთვის კარგია, მაგრამ როინ მეტრეველი მხოლოდ გამოჩენილი მეცნიერი არ არის, იგი სახელმწიფო მოღვაწეცაა, სახელმწიფოს არაერთ დიდმოხელის სავარძელში მჯდარა და კარგად უწყის, ყოველ საქმეს, რაოდენ სასიკეთო მიზანიც არ უნდა ჰქონდეს, ოპონენტიც გამოუჩნდება, განმეორებული არ დააყოვნებს. გამოჩენილან კიდევ. ამგვარნი არასოდეს არ არიან საძებარი- თავად იჩეკებიან და ბარაკთან მრავლებიან, მაგრამ როინ მეტრეველი ურყევია-დაუხანებლად თანახმაა გააკეთოს ის, რაც ისრაელის, მის ლიდერთა ჭყის მოამალბებს.

ამიტომაც იყო: ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მამასახლისი ვუწოდებ-მე იგი შევადარე მცხეთის მამასახლისს, რომელმაც უხსოვარ დროში ნაბუქოდონოსორისაგან დევნილ ებრაელობას დახმარების ხელი გაუწოდა-მიიღო ქართლის მიწაზე, გაათბო, მისცა სიცოცხლის, თავის გადარჩენის საშუალება.

როინ მეტრეველი იმ გამორჩეულ, ღირსეულ ქართველთა შორისაა, რომლებიც თანამედროვე საქართველოს მცხეთელ მამასახლისად გვევლინებიან. ებრაელობა საქართველოში ყოველდღიურად მცირდება, მამასახლისთა გამრავლება კი სიკეთის მომასწავლებელია.

თემურ იოსებაშვილი

არიან ადამიანები, რომელთა ამოსაცნობი ნიშანი ღიმილია. მათი გახსენებისას, ან მათზე საუბრისას, უწინარესად, მათს სახეზე გადაფენილი ღიმილი წარმოგადგება თვალწინ. ასეთი ღიმილის კაცია თემურ იოსებაშვილი. მისი ღიმილი, არა საქმიანი, თავაზიანობის გამოხატველი, არამედ ერთობ ბუნებრივი, მისი შინაგანად აღეკვამული ღიმილი, მომხიბლავია. ამით წვდები ამ ადამიანის არსს-უშუალო, გულწრფელი, გულისყურიანი-ასეთია თემური-თავის ხალხზე-ქართველ ებრაელობაზე შეყვარებული ადამიანი, საკმაო ხანია ნიუ-იორკში ცხოვრობს (აღრე, ისრაელში, ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, იქ ქართული პრესის შექმნის სათავეებთან იდგა) და სანთლით დაეძვებ ყველაფერს, რაც ქართველ ებრაელობაზე დაწერილა. აინტერესებს თავისი ერის წარსული, დღევანდელი, განსაკუთრებით ის, თუ როგორ ყოფილა საქართველოს ებრაელობა, აქვს ერთი იშვიათი (ჩვენი!) თვისება-ახარებს თავისი ერის შვილთა წარმატება, მიღწევა. ეს კი იმის დასტურია, რომ ნიჭიერია, თავად სულიერებითაა სავსე. სულიერად განძარცვულ ადამიანებს სჩვევიათ „მწუხარება სხვათა სიხარულის“ გამო.

თუ ვინმეს სურს თემურ იოსებაშვილის მიმართ რითიმე პატივისცემა გამოხატოს, მიართვას მას საქართველოზე, ქართველობაზე, საქართველოს ებრაელობაზე დაწერილი წიგნი, იქნება ეს სამეცნიერო, თუ მხატვრული. ამ ბიზნესმენ კაცს ისე უყვარს წიგნი, შეიძლება ოქრო არა, მაგრამ წიგნი კი გამოგტაცოს ხელიდან. თემურიცა და მისი მეუღლეც-ასევე უშუალო მარინა-მეგობრების წრეში, ლხინში უნდა ნახოთ--ლხინი სიამოვნების ბანგიან სამოსში ხვევს სინამდვილეს. თემური კი... თემური სერიოზულად წუხს იმაზე, რაც ქართველ ებრაელობას, უნდა აწუხებდეს და არ აწუხებს: საზოგადოებრივი პრობლემებისაგან განდგომა, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი ზურგისქცევა ჩვენი საერთო სენია. საოცარია, იცვლებიან თაობები, იცვლება საცხოვრებელი გარემო, სოციალურ-პოლიტიკური პირობები, ჩვენ მაინც გათითოკაცებული ვართ, არ ძალგვიძს ერთად დავსხდეთ და ვიფიქროთ ჩვენს პრობლემებზე. ლიდეროვანია პრიმიტივიზმის დამახასიათებელი ნიშანი. ამაზე საუბრობს თემურ იოსებაშვილი და ვგონებ, ახლოვდება (თუ ბრუნდება?) ის დრო, როცა ფინანსისტები, ბიზნესმენები, ეკონომიკურად ძლიერი ადამიანები უნდა ჰკიდებდნენ ხელს ეროვნულ საქმეს. ინტელექტუალური პოტენციალი პლუს ეკონომიკური პოტენციალი პლუს სურვილი საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრებისა, უსათუოდ მოიტანს სასიკეთო შედეგს.

მოიტანს, მაგრამ როდის? ალბათ მაშინ, როცა სიმდიდრის მფლობელნი უწინარესნი, გაუნათლებელი, შემთხვევითა თუ მდგომარეობითა გამოისობით გამდიდრებული ადამიანები კი არ იქნებიან, არამედ ისინი ვინც თავისი ქეშმარიტი განათლებით, თუნდაც სპეციალობის სფეროში, და შრომით მოიპოვა ფინანსური ძლიერება.

ასე მგონია, თემურ იოსებაშვილი ერთი ამათვანია. მგონია-მეთქი, დაბეჯითებით კი ის ვიცი, რაც ზემოთ ითქვა.

არიელ ლევინი

ცხოვრების გზაზე რა არ გინახავთ, რა არ შეგხვედრიათ- ალბათ, ისიც გინახავთ, რამდენიმე ადამიანი როგორ მიადგება ერთ კაცს და გამეტებით ურტყამს შიგ გულში .

იმას არ ვგულისხმობ, როცა ადამიანს ტყვიას ესვრიან, გულში, ან თავში მოარტყამენ და ერთბაშად გამოასალმებენ სიცოცხლეს. არა, ვგულისხმობ ადამიანის სიტყვით, ენით მოკვდინებას. შეუძლებელია სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ შესწრებოდეთ ასეთი საშინელებას და თუ არ შესწრებიხართ, ბედნიერი ადამიანი ყოფილხართ!

მე ერთხელ მქონდა ასეთი მძიმე წუთები--ვუყურებდი რამდენიმე ებრაელი როგორ მისდგომოდა საქართველოს მთავარ რაბინს არიელ ლევინს და სიძულვილის, მტრობის, გამომხატველ მომაკვდინებელ სიტყვებს უშენდნენ.

ეს ამბავი ასე იყო: არიელ ლევინს 50 წელი უსრულდებოდა. ჯამაათის რამდენიმე წევრმა ითავა, ეს მრგვალი თარიღი კარგად აღნიშნულიყო. მთავარი რაბი ბევრია, 50 წელიც ბევრს უსრულდება და სრულიად არ არის აუცილებელი ადამიანები შეაწუხო, მაგრამ მეოცე საუკუნის დასასრულის საქართველოს, განსაკუთრებით კი თბილისის ჯამაათის ცხოვრებაში, არიელ ლევინმა განსაკუთრებული როლი შეასრულა- ჯერ კიდევ მანამ სანამ მთავარი რაბი გახდებოდა და თავადაც ახალგაზრდა გახლდათ, მოახერხა ის, რომ აშქენაზ ებრაელთა ბეით ქნესეთი, სადაც იგი ლოცულობდა, თბილისის ებრაელი ახალგაზრდობის თავშესაყარი ადგილი გაეხადა. თავშეყრას კი მაშინ აქვს აზრი, როცა იგი პოზიტიური ფუნქციის შემსრულებლად იქცევა. ასეც იყო-არიელ ლევინმა ბეით ქნესეთში მოსული ახალგაზრდობის ცხოვრება ათასგზის საზრიანი გახადა, ვიდრე აქამდე იყო. . . ამას კი იმათ მიაღწია, რომ მათს სულელებში შემეცნების თესლი გააღვივა, გაზარდა, თავთავად აქცია. ძალიან მომწონდა და მახარებდა ამ ბეით ქნესეთის ახალგაზრდობა მინხასა და ყარბითს (სალამო ხანის ლოცვებია) შორის დროის თითქმის ერთსაათიან ინტერვალს უქმად არ კარგავდა-სალოცავის ეზოში უწყინარ ბაასს კი არ მისცემოდა, არიელ ლევინის, ან მის მიერვე მოწვეული თალმიდ ხახმის ირგვლივ შემოჯარული, თორაზე საუბარში-წმინდა წიგნების შესწავლაში- კლავდნენ დროს. მოგვიანებით, როცა არიელი მთავარი რაბინი გახდა, თითქმის მოვთხოვე (თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა), ქართველ ებრაელთა სინაგოგაშიც იგივე წესი დენერგა:

— ხომ ხედავ, მინხასა და ყარბითს შორის დროს თითქმის ერთ საათს, მლოცველნი უაზრო მასლათში, სხვათა ქილიკში ატარებენ, აი, როცა საინტერესო თემებს შესთავაზებ, იქნებ, მდგომარეობა შეიცვალოს.

ასეც მოიქცა, მაგრამ... არ მინდა მთავარ თემას ავცდე: არიელ ლევინის 50 წელს ვეგებებოდით-მეთქი. ამ დროს თბილისის ჯამაათში უკვე დაწყებული იყო შინაომი. ბეით ქნესეთში კი, რომელიც გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი საჯამაათო ცხოვრებისა, ამ ომის მოთავენი თავთავიანთი კაცების წამონევას ცდილობდნენ. ამგვარ რეზიდენტთა შორის აღმოჩნდნენ ერთობ ენერგიული, მართვის სისტემაში კარგად გარკვეული, მაგრამ რელიგიური, სიქამრის თვალსაზრისით არც თუ სრულქმნილი პიროვნებანი. სამართლიანად თუ უსამართლოდ, ისინი ბეით ქნესეთის მართვის სისტემაში ბევრ ნეგატივს ხედავდნენ და წინა პლანზე წამოსწევდნენ. ამ ნეგატივზე აქცენტირებით მასების ყურადღების მიქცევასაც ცდილობდნენ. ისინი კარგად ფლობდნენ თვალსაჩინო პიროვნებებთან ბრძოლის საშუალებებს. ამ შემთხვევაში მისადაგებულია პოპულარული ფრაზა: „პროლეტარიატი ბრძოლაში არაფერს ჰკარგავს, ბორკილების გარდა.“ ისინი დაბორკილი არ იყვნენ, მაგრამ მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად, ყველა საშუალებას მიმართავდნენ. ამით გუნდს ეხსნებოდა გზა „ნაჩაღნიკობისაკენ.“

ამგვარი ომი არიელ ლევინის წინააღმდეგაც იყო დაწყებული. მთავარ რაბინს ბინძურ ბრალდებას უყენებდნენ- ძალიან სათაკილო ბრალდებებს. მე იმის უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს, ვიმსჯელო რამდენად არაობიექტური იყო ეს ბრალდებები. იჭვი კი მეპარება, რაბის ის გაეკეთებინა, რასაც აბრაღინდენ, მაგრამ არც გამოფრიცხავ... ჩვენ ადამიანები ვართ-ცოდვისაკენ მიდრეკილნი. ამგვარ შემთხვევაში მე ჩემი საზომი მაქვს: როცა ასეთი ექსტრემალური სიტუაცია იქმნება, უნდა განიხილო პიროვნების არა მხოლოდ ესათუის კონკრეტული ქმედება, შემთხვევა, რომელიც მას აშკარად ჩირქს სცხებს, არამედ დროსა და სივრცეში განფენილი მისი ცხოვრების წესი ზოგადად: რა უკეთებია, როგორი გამოძახილი ჰქონია მის საქმეთ, რა შედეგი დამდგარა საზოგადოებისათვის და ა. შ. ამ ომის მოთავეები არაფრად მიიჩნევდნენ არიელ ლევინის როლსა და ადგილს ჩვენი ებრაელობის ცხოვრებაში. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ მათთვის იმჟამად ასეთი ფასეულობა არც არსებობდა. ამ ფონზე აურიამულდნენ-თავი წამოყვეს უკმაყოფილო ადამიანებმა(ც: მთავარმა რაბინმა არიელ ლევინმა ვილაცას გიურზე უარი უთხრა, ვილაცის ბავშვი არ მონათლა, ვილაცის ქეთუბისაგან თავი შეიკავა და ა. შ. და ეს ხდებოდა ქვეყანაში, რომელშიც ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა- ეს კი ვერ გაკეთდა. ვერ გაკეთდა და ხელსაყრელი მომენტიც დაუდგათ. მთავარ რაბის ჯამაათში გაღიზიანებული ადამიანები დაგროვებია, მაგრამ რა ექნას: იგი რაბი იყო...

და მიდიოდა დაუნდობელი ბრძოლა არიელ ლევინის წინააღმდეგ... მხარდამჭერები? ჩვენს თემში შეიმჩნევა უცნაური ტენდენცია. მხარდამჭერები უხმოდ არიან „ყველაფერს გამჩენი გაარკვევს“, „გამჩენს მიანდე ეს ამბავი!“ ამას ხმამაღლა ამბობენ, თორემ ასე მგონია, საფიქრალი სხვა აქვთ: „რა ჩემი საქმეა, იმან რო გაიმარჯვოს?“ მებრძოლნი ირაზმებიან - ისინი კი ამ ძალას გზას უთმობენ და მშვიდად არიან.

იმ დღეებში დედის იორცათი მქონდა და ყოველ დილა-სალამოს ბეით ქნესეთში ვიყავი. ერთ სალამოს არიელ ლევინმა შემახსენა: ხვალ ჩემი 50 წლისთავი როა, ხომ არ დაავიანებთო. შენი მოწინააღმდეგენი თუ მოიწვიე-მეთქი, ვკითხე. კიო,ესადაეს კაცი გავგზავნე და დავპატიჟეო. ეგრე არ ივარგებს-მეთქი, ისინიც ჩვენი ჯამაათის წევრები არიან, თვითონ მიდი დიდ ლოცვაში და ისევე დაპატიჟე, როგორც მე-მეთქი.

ლოცვის შემდეგ შინ წავედი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე რომ გავედი, ტელეფონმა დარეკა. არიელი იყო. თუ შეგიძლია, ძალიან გთხოვ დიდ ლოცვაში მოდიო. უცნაური ხმა ჰქონდა. მანქანა მოვატრიალე და რამდენიმე წუთში ლოცვის დარბაზში შევედი. ვხედავ, პირველ სართულზე, სწორედ სალოცავ დარბაზში ჯამაათის რამდენიმე წევრი შემოსხდომია მაგიდას, განაპირას-აპარონ აკოდებოთან, ზის ხვალსდელი იუბილარი, ვინაც ამ ჯამაათის რამდენიმე თალმიდ-ხახამი აღუზარდა. ცახცახებს, ფერი კი... ფერი მიცვალებულისა ადევს, ქვედა ტუჩი უკანკალებს...ეს ჩვენი მეგობრები კი...ჯამაათის რამდენიმე წევრს-ახლადმოვლენილ აქტივისტებს ვგულისხმობ, არიელ ლევინის თავს ბრალდებებს ახვავებენ, რალაცას შესახებენ, თითქოს ვილაც ქუჩიდან შემოსული ბიჭი იყოს... არიელს კვლავ ქვედა ტუჩი უცახცახებს თავის გასამართლებლად რალაცას ნაილულულვებს, მეტს ვერ ახერხებს-იმის ძალაც აღარა აქვს, თავი იმართლოს (ორი ათას დოლარს ედავებოდნენ).

ესენი კი...კარგები არიან თუ ცუდები, ჩვენი ჯამაათის წევრები გახლავან და არცერთის განსჯას არ ვაპირებ. ყველას შეუნდოს ღმერთმა, მაგრამ როცა არიელის მოწაფემ, მასმა გაზრდილმა, საჯამაათო ასპარეზზე არიელისავე გამოყვანილმა ჭაბუკმა, თავის მოძღვარზე დაინყო უგვანო საუბარი... სასტიკი დაუნდობელი კაცის ტირილი რომ წამოიწყო, ხმა მეც ამოვიღე.

ხმა კი ამოვიღე, მაგრამ იმით, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა ისე ვიყავი დათრგუნული, შეძრწუნებული... ალბათ, არასოდეს ასეთი უმწეო არ ვყოფილვარ, ფაქტიურად ვერაფერი ვთქვი, გარდა აღშფოთების უმწეო, ძალიან უმწეო გამოხატვისა.

ეს კი თითქმის არაფერს ნიშნავდა. არიელი გვიან წამოდგა და წავიდა, მილასლასებდა. ადამიანის ძალა აღარ მისდევდა. არიელი წავიდა და არეც მოსუფთავდა. კი, ასე გახლდათ — არე მოსუფთავდა. მოქმედება გაუიოლდათ. დღეს მეუბნებიან, არიელი ცუდად არისო. უკურნებელი სენი აღმოაჩნდაო.

ეს სენი მის სხეულში დღეს აღმოაჩინეს, თორემ იმ ღამეს, თავისი დაბადების 50-ე წლისთავის წინა ღამეს ჩასახლდა. იქნებ, ჩემი წინაგაუხედავი რჩევითაც? მე მშვიდობიანი ურთიერთობა მსურდა, მაგრამ...

სურამული სიზმრების ცხადად ახდენის ზეიმი

იზოლდა კრიხელის წიგნის „სურამული სიზმარ-ცხადის“ პრეზენტაცია

19 ოქტომბერს ბათ-იამის „ემქოლ ჰაპაისის“ აუდიტორიაში, გაიმართა იზოლდა კრიხელის, ახალი წიგნის „სურამული სიზმარ-ცხადის“-ს პრეზენტაცია.

საღამო გახსნა ნუგზარ ჯანაშვილმა. მან ილაპარაკა სურამის ებრაელთა დიდ დამსახურებასა და დღევანდელ საქართველოში ებრაული სულისკვთების გაძლიერების, თაღმიდ-ხახმების შეუპოვარ ბრძოლაზე სალოცავებისა და ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. „სურამული სიზმრები“ დღესაც ცოცხლობენ და იმღერებიან ისრაელის ქართველ ებრაელთა სალოცავებში... ამ დიდებული ისტორიის დავინწყება არაფრით არ შეიძლება და აი, სურამელმა ქალბატონმა – იზოლდა ჯანაშვილ-კრიხელმა ითავა ეს დიდად საპასუხისმგებლო საქმე და დიდი წარმატებითაც დაავკირგვინა იმ მშვენიერი წიგნის სახით, რომელიც დღეს ყოველ თქვენგანს სიამაყით უჭირავს ხელში!.. გილოცავთ, სურამლებო, ამ დიდ გამარჯვებას! მაშ, მიესალმეთ ამ ძვირფასი წიგნის ავტორს – ქ-ნ იზოლდა კრიხელს!

მაყურებელი მქუხარე ტაშით ეგებება მწერალ ქალს, რომელიც დიდ მადლობას უხდის მათ და იწყებს მოყოლას წიგნის წერის პერიოდში განვლილი გზის სირთულეებზე.

— მამაჩემის შვილიშვილები – მორის მანაშეროვი, ზაზა, დავით და ირის კრიხელები, შვილთაშვილები ადარ-გაბრიელი და ადი კრიხელები, აგრეთვე „დრაჟანთ“ დიდი ოჯახის მრავალი წევრი – გაბრიელ და სიმონა ჯანაშვილების სულ უმცროსი შვილი, 90 წელს მიტანებული თამარა ჯანაშვილი ქალიშვილით სიმა; ამ დიდებული ოჯახის შვილიშვილები და შვილთაშვილები. ხახამ ფინხას ხარაზიშვილის ოჯახს წარმოადგენენ მისი და, ნათელა მეუღლით არონკა კაცობაშვილი და მათი ქალიშვილი – ლარისა; მეგობრებო, დღეს ჩვენს საღამოს ესწრებიან ისრაელის ყოველი კუთხიდან ჩამოსულები – სურამლებიცა და არასურამლებიც. ნება მიბოძეთ ყოველ თქვენგანს გადაგიხადოთ დიდი მადლობა ამ დიდი ერთსულოვნებისა და გვერდში დგომისთვის, გისურვოთ საინტერესო და შინაარსიანი საღამოს გატარება!

საღამოს წამყვანი ნუგზარ ჯანაშვილი მიკროფონთან იწვევს პირველ მომხსენებელს, ბ-ნ გიორგი ნულაძეს, რომელმაც მთამბეჭდავად მიმოიხილა წიგნი.

შალვა წინუაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა იზოლდა კრიხელის, როგორც მწერლისა და მასწავლებლის რედაქტორის მალაქროფისიულობაზე, მასში მოყვანილი ისტორიული თუ დოკუმენტური ფაქტების სისწორესა და დამაჯერებლობაზე. — „კინორეჟისორმა რომ მოისურვოს ამ წიგნის მიხედ-

ვით ფილმის გადაღება, არავითარი კვლევა-ძიება არ დასჭირდება, იმდენად დანერვილებითა და საოცარი სიზუსტითაა აღწერილი ყოველი მოვლენა და სხვადასხვა ადამიანთა თვისებები. ამასთან ერთად წიგნი ისე ლაღად იკითხება, რომ „უფლებას“ არ გაძლევს თავი დაანებო!..“

მიკროფონთან მიდის ქ-ნ იზოლდა კრიხელი და კითხულობს მსუბუქი იუმორით შეზავებულ ერთ-ერთ ნაწყვეტს წიგნიდან, რომელშიც ისე მოხდენილად და დამაჯერებლადაა გაშუქებული სურამის მიამიტ ებრაელთა შესისხლბორცველი წეს-ჩვეულებანი, რომ მაყურებელით სავსე დარბაზში მრავალგზის გაისმა ხმაბალაი სიცილი და მქუხარე ტაში...

შემდეგმა გამომსვლელმა პროფესორმა დავით ბააზოვმა გულითადად მიულოცა ავტორს წიგნის დიდი გამარჯვება და ხაზგასმით აღნიშნა მისი მნიშვნელობა,

სცენაზე იწვევენ სურამში დაბადებულსა და გაზრდილს, დიდი ხანამ გაბრიელის შვილიშვილს, ისრაელის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის („შაბაქის“) უფროსის ყოფილ მოადგილეს, ბ-ნ იცი ილანს (იცხაკ წინუაშვილს). მან ივრითზე მიმართა დარბაზს. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა ის ფაქტი, რომ ყოველი ადამიანის ვალია წინაპართა არდავიწყება და მათი ხსოვნის უკვდავყოფა. მან მიმართა ქ-ნ იზოლდა კრიხელს და უდიდესი მადლობა მოახსენა სურამის ებრაელთა სახელით იმ დიდი ღვაწლისა და შრომის გამო, რომელიც მათი მამა-პაპის გარდასულ დღეთა გახსენებასა და დღის სინათლეზე გამოტანის საქმეს მოახმარა. „შენ უდიდესი საქმე გააკეთე, იზოლდა, და ამის

სცენაზე ერთმანეთს სცვლიან გაზეთ „ალია“-ს რედაქტორი აბრამ საფირი, რომელმაც წიგნის ავტორი მოიხსენია როგორც ნიჭიერი და მრავალმხრივი განათლებული პიროვნება. პოეტი ქალი სიმა ჯანაშვილი თბილი სიტყვებით მიესალმა თანამოგვარე ქ-ნ იზოლდას, მიულოცა წიგნის წარმატებით გამოცემა და დარბაზს მოახსენა, რომ მას შემდეგ, რაც ის

სიმა თავი და მარო ისრაელაშვილი დარბაზიდან მიესალმნენ წიგნის ავტორს, გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები. სურამელთა საყვარელი მომღერლის ხანანელ ჯანაშვილის ქალიშვილმა – ლალი მანაშეროვმა „მურდუხანთ“ ჩამომავლის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ქ-ნ იზოლდას და პარალელურად მონაწილე პირდაპირი ჩართვა საქართველოსა და აშშ-ში.

ნუგზარ ჯანაშვილმა დარბაზში მყოფთ ნაუკითხა „სურამული სიზმარ-ცხადის“ ავტორის იზოლდა



კრიხელის სახელზე სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული მისალოცი წერილები – თბილისში ქართველ ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, პროფესორ გივი ღამბაშიძის, გორის უნივერსიტეტის განათლებისა და საბუნებისმეტყველო საგნების დეკანის – დავით ჩოჩიშვილის; (საქართველო). პროფესორ იცხაკ და დოქტორ ესთერ ელიშას (აშშ), ცნობილი მხატვრის იაკობ ფინხაძისა (კანადა) და სხვა...

წიგნის წარდგენის ისედაც მშვენიერი საღამო დასრულდა არაჩვეულებრივი სიურპრიზით – ეკრანზე ნაჩვენებ იქნა სურამის ებრაელთა ფოტოგალერეა, რამაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი მღელვარება და აღფრთოვანება გამოიწვია. ისმოდა მათი განცვიფრებული შეძახილები: „პაპაჩემი!“ „ბაბოჩემი!“ „ომში დალუპული ბიძაჩემი!“ „ჩვენი უბნის გოგონები!“ „ჩემი მშობლების ქორწილი!“ „ცხიხუბანი!“...

თუ კაცი. ეს იყო დაუფინყარი მოვლენა ჩვენი თემის ცხოვრებაში! დიდი მადლობა ამისთვის ქალბატონო იზოლდა!

ერთი თავი წიგნიდან

ადგილმდებარეობა და ბუნებრივი პირობები ჰქმნიან ადამიანთა ხასიათსა და მიდრეკილებებს თვით მათ პრაქტიკულსა და შემოსავლის წყაროს განსაკუთრებულ ფორმებსაც კი. ყველა ზემოთაღნიშნული მიზეზთა გამო სურამი უსსოვარი დროიდან ითვლება საკურორტო გამაჯანსაღებელ ადგილად! ზაფხულში განუწყვეტლივ მოედინებოდა დამსვენებელთა რიგი საქართველოს ყოველი კუთხიდან, რუსეთიდან, მეზობელი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან! განსაკუთრებით მოჰყავდათ ბავშვები სისხლნაკლებობით, ტუბერკულოზით, რაქიტული დაავადებებითა და საერთოდ, სუსტი აღნაგობისა და განვითარების მქონენი, დიდებიც და პატარებიც! მოედინებოდნენ სურამისაკენ დასუსტებულ-ჩამოყვითლებულნი იმ იმედით, რომ გამოჯანმრთლებულნი დაუბრუნდებოდნენ საკუთარ კერას! ასე გადაიქცეოდა ჩვენი პატარა დაბა ზაფხულის სამი თვის განმავლობაში დამსვენებელთა საფანქარო! მისი მშენიერი ტყეები ახმაურდებოდა ბავშვების სიმღერებით, უღურტულითა და მუსიკით! ყველა დიდ ბინას, სკოლის შენობებს ისინი იკავებდნენ და საერთოდ, კარგი ეზოს მქონე სულ პატარა ფიცრულიც კი არ რჩებოდა გაუქირავებელი! განსაკუთრებული მთხონილება იყო ზინდისში, ჩუმათელეთსა და იტრიაში, წიწვნარი ტყეების სახლოვებს!

ბინასა და ეზოს ფასი დავდო! ამიტომაც ომის დამთავრების შემდეგ ხალხმა ოდნავ რომ ამოისუნთქა, მთელ სურამში დაიწყო ძველი ბინების წერვისა და ახალი, უფრო დიდი და კეთილმოწყობილის შენება! ვისაც არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, ძველი ბინის გადაკეთებითა და იატაკის წითლად შეღებვითაც კმაყოფილდებოდა! სურამლებმა იცოდნენ, რომ დამსვენებელთათვის მთავარი იყო ხეხილისა და ნაძვის ხეებით მოწოდებული, კარგად მოვლილი ეზო.

ცოტა მოგვიანებით, როდესაც ხაშურის მახლობლად აგურის პატარა პრიმიტიული საწარმოო სახელოსნოს ადგილზე დიდი და ნახევრადმქანიზებული ქარხანა აშენდა, ეს მოხერხებული, მსუბუქი და ლამაზი საშენი მასალა გადაიქცა ძირითადი მთხონილების საგნად მოსახლეობაში! თითქმის ყველა ოფიციალური შენობა, მილიციის პუნქტი, საავადმყოფო თუ სკოლა აგებული ან მოპირკეთებული იყო აგურით! მოგვიანებით სურამში აქა-იქ ქვითკირისა და ბეტონის კაპიტალური შენობებიც აშენდა!

ეს ცვლილებები სურამის ებრაელობასაც გადაეღო, ცნობილ ინტერნაციონალის ქუჩაზე უგვეგოდ მიმოფანტულ ფიცრულ და ძველ, გამურულ, მინებს შორის დაუღაჟა ყაჩაღსავეთ გამოაჭყიტა ორსართულიანმა, ლამაზი აივნებით დამშვენებულმა წითელი აგურის რამდენიმე ახალმა შენობამ!

რა მოსატანია, მაგრამ მაინც ყოველთვის მეტადებოდა კითხვა რატომ ერქვა მისდღემში ატალახებულ ამ ქუჩას სოციალ პოლიტიკურად ესოდენ დატვირთული სახელი ფსიქონეროლოგიური საავადმყოფოდან რომ იწყებოდა და სურამის ციხის ძირში მთავრდებოდა (რა ხალხი აესებდა მას (ძირითადად ესენი იყვნენ ებრაელები, ერთი ორი სომხის ოჯახი და თითქმის ჩამოსათვლელი ქართველები! რა სახის პარადოქსადაც არ უნდა ჩაეთვალოთ და სატირის რა ფორმაც არ უნდა მიუყენოთ, ეს უბრალო, ფუტკარივით მშრომელი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ნამდვილად იმდროინდელი აღიარებული დიდი სოციალისტი ბელადების მოწოდებებისა და ლოზუნგების მიხედვით ცხოვრობდნენ, თუმცა კი ამ ბელადთა არსებობასა და მოძღვრებებზე მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ეს, ისე ბუნებრივად შექმნეს ირგვლივ კეთილმეზობლური მიკროსამყარო, თორემ იმხანად ვის სცხელოდა მათი სწავლისთვის, ეს ადამიანები ყოველდღიური ლუკმაპურის საშოვნელად დარბოდნენ აღმა-დაღმა, ოჯახი ჰყავდათ შესანახი

და უწინარი ლანდებივით საქმიანობდნენ თავისთვის, პრიმიტიულად!!!

რაკი ბინა ვახსენეთ ზემოთ, აქ აუცილებელია შეგვიხსენოთ ებრაელი კაცის დამოკიდებულებაზე ბინის საკითხთან! საერთოდ, ისევე როგორც მისი არსებობა თავიდან ბოლომდე ტრიალებს თორის, რჯულის, სარწმუნოების, ებრაული ტრადიციებისა და რიტუალების დაცვის ირგვლივ. ასევე მათგან გამომდინარე მოძღვრებათა მიხედვით ჩამოყალიბდა ბინის მოხმარებისა და მისი გონიერულად გამოყენების თავისებური ჩვევები!

იმის გამო რომ ებრაელთა დიდი დღესასწაულის, ფესახის, წინ მთელი მისი სადგომ-საცხოვრებელი თუ არ დასუფთავდა პედანტური სიზუსტით, მას ეკრძალება იქ არა მარტო ჭამა, არამედ შესვლაც კი, ზოგისთვის ეს შეიძლება ძნელად გასაგები იყოს ამიტომ ერთ მაგალითს მოგახსენებთ:

საქართველოს ებრაულ დასახლებებში საფესახო სამზადისი განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიმდინარეობდა, მაგრამ არაფერი შეეძრებოდა სურამის ებრაელობის ცქერას ამ პერიოდში ღარიბსა და მეცი-სმეტი შრომით წელნაწყვეტილ მიამიტ ებრაელს ავიწყდებოდა ყველა დარდი და ჯავრი, მისი აზრი, გონი და დრო დაკავებული იყო მხოლოდ ორი საკითხით საფესახოდ ხმეცი არ დარჩენოდა სახლში და სადღესასწაული საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელდასაზური არ მოჰკვებოდა მის მრავალრიცხოვან ოჯახს!

საერთოდ, საფესახო სამზადისი ფურცის დღესასწაულის გასვლისთანავე მეორე დღესვე იწყება, მაგრამ სურამლები ბევრად უფრო ადრე იჭერდნენ თადარიგს! მართალია, ღარიბები იყვნენ, მაგრამ ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე ყოველთვის თან სდევდათ! ფესახი მათი გაგებით ბევრად იმაზე მეტი იყო ვიდრე დღესასწაული, რაღაც მეტისმეტად დიდებული და წმინდა, რომელსაც გულისფან-

რას პკითხ ულობთ ამ პკირაში? რაბინის კუთხე

მ ე ნ ო რ ა



ავიგდორ ბონჩ-ბრუივიჩი

რატომ სთხოვა იცხაკმა ყესავს ორი ბატკანის მოყვანა? ერთი საფესახო მსხვერპლისათვის, მეორე კი - მისი კარგი გემოს გამო. რა კავშირი აქვს ამას ფესახთან? პირველი დერაბი ელიეზერ გვეუბნება, რომ ეს ფესახში მოხდა. ფესახში კი ტრაპეზის ბოლოს მიერთებულ მას დასანაყრებლად. რატომ მისცა რიკვამ იაყაკოვს ლამაზი ჩასაცმელი? იმიტომ, რომ მას საფესახო მსხვერპლი უნდა შეენირო. იცხაკიც ფესახის ღამით დაიბადა. ავრაჰამის ხომ ანგელოზებმა უთხრეს, რომ ერთი წლის შემდეგ იცხაკი სწორედ ფესახში დაიბადებოდა. ეგვიპტის გალუთის (განდევნილობის) 400 წელი ხომ იცხაკის დაბადებიდან აითვლება. 400 წლის შემდეგ ებრაელები გამოვიდნენ ეგვიპტიდან. არის კიდევ ერთი სირთულე. იცხაკი ყესავს ავრაჰამის ნადავლის მოსაპყრებლად, მაგრამ იაყაკოვი მიღის მასთან პირველი. ყესავი კი მხოლოდ მის შემდეგ მიღის მამასთან. იცხაკმა ვერ იცნო ვინ ვინაა. მან იაყაკოვზე თქვა: ხმა, ხმა იაყაკოვისაა და ხელები - ხელები ყესავისა, მაგრამ მინც დალოცა ის (რიკვამ ხომ იაყაკოვს თავად დაუკლა ბატკნები, მოუმზადა ისე, როგორც იცხაკს უყვარდა, ჩაცვა იაყაკოვს ყესავის ტანსაცმელი და ისე გაუშვა მამასთან. თან დაარიგა, რომ არ ეთქვა, ვინაა სინამდვილეში. ამიტომაც ვერ იცნო იცხაკმა ის). როგორ დალოცა, თუ ორჭოფობდა და არ იცოდა, ვინ იდგა მის წინაშე. იმიტომ, რომ იგრონო სუნი და თქვა: "სუნი, რომელიც ჩემი ვაჟისგან მოდის, ისეთივეა, როგორიც იმ მინდვრისა, რომელიც გამ-ნმა აკურთხა". მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს კურთხევას. ამით იცხაკი ამბობს, რომ არა თავად, არამედ გამ-ნმა აკურთხა იაყაკოვი.

ამის შემდეგ მოდის ყესავი და ეუბნება, რომ ისაა მისი პირველმოხილი შვილი - ყესავი. იცხაკი აკანკ-

აღდა. რაში გვიხსნის, რომ მის ქვეშ გეინომის (ჯოჯოხეთის) პირი გაიღო. მაგრამ მინც ამბობს, რომ ის ასევე იკურთხოს. სწორედ ესაა გაუგებარი. მას ხომ, ლოგიკის მიხედვით, უნდა მოეყვანა იაკობი, გაერკვია, თუ რა მოხდა. მოეყვანა მეუღლე - რიკვა.

ყესავი ხომ ნუნუნებს, აღარ მოსწონს თავისი კურთხევა. იცხაკი კი მას ეუბნება: "მოვიდა ჩემთან იაყაკოვი და ემშაკურად მიიღო მენი ბერახა (კურთხევა)". იცხაკი ამ დროისათვის 123 წლისაა, ყესავი და იაყაკოვი - 63 წლისები არიან. ყესავს უკვე ცოლ-შვილი ჰყავს. და, რას ნიშნავს მოიპარო კურთხევა? იცხაკი ყესავსაც აძლევს კურთხევას.

იაყაკოვს არ სჭირდება ყესავის კურთხევა. მას მხოლოდ თორის სწავლა სურს. მატერიალური არაფერში არგია. მაგრამ, როდესაც იაყაკოვი იცხაკს პაღან-არამში ავრაჰამის, აკურთხებს იაყაკოვს იმაზე, რომ სწორედ ის იქნება ავრაჰამის საქმის გამგრძელებელი. ეს სულიერი კურთხევაა. მანამდე კი იაყაკოვმა მატერიალური ბერახა მიიღო. სწორედ ამის გამო იყო განანყენებული ყესავი, მას არ სურდა სულიერი ბერახის მიღება, მხოლოდ მატერიალური ესაჭიროებოდა.

სინამდვილეში ყესავსა და იაყაკოვს უნდა გაენანილებინათ ბერახები ისე, რომ ყესავი მხოლოდ მატერიალურით ყოფილიყო დაკავებული, იაყაკოვი კი - სულიერით. იცხაკს კი სურდა, რომ ყესავს მიეტანა ნადავლი იმ მინდვრიდან, რომელიც გამ-ნმა აკურთხა. როდესაც მასთან იაყაკოვი მიდის, იცხაკი მას ხელს კიდებს, ამონებს და უსმენს. ამის შემდეგ ამბობს - შეხედე, ჩემი ვაჟის სუნი, იმ მინდვრის სუნს ჰგავს, რომელიც გამ-ნმა აკურთხა". როგორ ხედავენ სუნს? სულიერ სუნს ხედავენ მხოლოდ. რა ხდება ამ დროს? იცხაკს, სინამდვილეში არ სურს კურთხევა, რადგანაც ჭოჭმანობს, არ იცის ვინ დგას მის წინაშე. მაგრამ, მოდის გამ-ნი და ეუბნება იაყაკოვთან ერთად შემოვიდა სუნი. ანუ გამ-ნი ეუბნება იცხაკს, რომ ის არ შემცდარა, მართლაც რაღაც ახალი მოხდა. ხელები ყესავისაა, ხმა - იაყაკოვის. იცხაკს მატერიალური კურთხევა ყესავისთვის უნდა მიეცა, სულიერი კი - იაყაკოვისთვის, ფიქრობდა, რომ ყესავი მატერიალურად დაეხმარებოდა იაყაკოვს. ახლა კი, გამოდის, მოვიდა ვიღაც, რომელშიც ყესავიცაა და იაყაკოვიც. იცხაკს შეიძლება ეფიქრა, რომ ეს ყესავია, რომელმაც თუშუბა გააკეთა. მაგრამ, როდესაც ყესავი მივიდა მასთან, დაინახა, რომ ის არ შეცვლილა, ისევ ის ყესავია და იცხაკს შეაკანკალა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მისი ცხოვრებისეული კონცეფცია დაიმსხვრა. იცხაკი ფიქრობდა, რომ ყესავი იაყაკოვთან ერთად იმუშავებდა. უცბად კი ხვდება, რომ იაყაკოვი ყესავიცაა, რომ იაყაკოვსა და ყესავს არ შეუძლიათ ერთად ყოფნა. ამიტომაც ავრაჰამის იაყაკოვს ღვანთან.

ღვანისაგან წამოსვლის შემდეგ, როდესაც იაყაკოვი და ყესავი ერთმანეთს ხვდებიან და ყესავი სთავაზობს გზის ერთად გაგრძელებას, იაყაკოვი ეუბნება, რომ ჯერ აღრუა, ჯერ უნდა გაიყვნენ. იაყაკოვი ლეზულობს ყესავის ძალას, მაგრამ სხვა კონტექსტში.

კიდევ ერთხელ წავიკითხოთ: "და აკანკალდა იცხაკი ძლიერ და თქვა, ვინაა ეს, ვინ მოიტანა ნადავლი და მომიტანა მე და მიირთვა "მიქოლ" (ყველაფრისაგან), დაე, ასევე იყოს კურთხეული. რას ნიშნავს "მიქოლ"? რაში კითხულობს, რას გავს ეს? თორაში სხვა ადგი-

ლას ვკითხულობთ: "გამ-ნმა ავრაჰამი აკურთხა "ბაქოლ" (ყველაფერში). იაყაკოვი ყესავს შეხვედრისას ეუბნება: "შენ ბევრი გაქვს, მე კი - ქოლ". "ქოლ" ნიშნავს, რომ არ მაქვს ჩემი არაფერი, ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენი მაქვს. მე გამ-ნისაგან მაქვს ყველაფერი.

ახლა იცხაკი იაყაკოვს თავისი სურვილით არ აკურთხებს, რადგანაც მისთვის მხოლოდ სულიერი კურთხევა უნდა მიეცა - ის უნდა ყოფილიყო ავრაჰამის საქმის გამგრძელებელი. იცხაკი იაყაკოვს ყესავის კურთხევით აკურთხებს. იაყაკოვსა და ყესავს ერთად ყოფნა არ შეუძლიათ. როდესაც ერთი მომალდება, მეორე - დაბლა ეშვება. მაგრამ იცხაკი ამას რიკვას გარეშე ვერ მიხვდა. რატომ? იმის გამო, რომ იცხაკი მომავალს ხედავდა. მომავალში შეუძლებელია, რომ ჩვენში იყოს ყესავიცა და იაყაკოვიც და, რომ ერთი ამენდეს მეორეს "დანგრევის" (განადგურების) ხარჯზე. ცხოველურ სულს ყესავს უწოდებენ, ხოლო გამ-ნისეულს - იაყაკოვს. ყესავი წარმოსდგება სიტყვისაგან - გაკეთებული, ის ნითელია, როგორც ნათქვამია, სერიი მმართველობდა მანამ სანამ ისრაელის მეფეებმა დაიწყეს მართვა. ყესავს კოლოსალური ძალა აქვს.

იაყაკოვი აკეთებს იმას, რასაც რიკვა ეუბნება, ის კი უცნაურ სიტყვებს ამბობს: "ჩემზეა შენი წყევლა, თუ მამა გაიგებს, ვინ ხარ შენ". მაგრამ ეს არ შეველის? უნკელოსი ასე ხსნის: "წინასწარმეტყველებაში მითხრეს, რომ შენზე წყევლა არ გავრცელდება (არ მოვა შენთან წყევლა). მე უნდა ვატარო ეს ხვედრი მთელი ცხოვრების მანძილზე". რიკვას თორაში ყესავისა და იაყაკოვის დედას უწოდებენ. ის, ჯერ კიდევ მამონ, როდესაც ყესავზე და იაყაკოვზე იყო ფეხმძიმედ, მიხვდა, რომ იაყაკოვში ესავეცა. იცხაკი მხოლოდ მომავალს ხედავს, ამიტომ მინც აკურთხებს ყესავს, მაგრამ არა იმას, ვინც მის წინაშეა, არამედ მომავლისას. იაყაკოვმა შეძლო ყესავისაგან გაქცევა, მაგრამ ხვდება, რომ ეს ჯერ კიდევ არაა დასასრული, ეს არაა ხსნა. ისევე, როგორც სედერის ღამეს ფესახში, ვიხსენებთ ეგვიპტიდან გამოსვლას და სულ გვახსოვს, რომ ყოველთვის უნდა გავიქცეთ ეგვიპტიდან.

იცხაკი ყესავს სთხოვს იმ მინდვრიდან მოუტანოს ნადავლი, საიდანაც თავად ბრუნდებოდა, როდესაც რიკვას შეხვდა პირველად. რიკვამ კი იაყაკოვს უთხრა ბატკნები ფარიდან მოეყვანა. ფარა - ეს ჩვენ ვართ, გამ-ნის ფარა. ეგვიპტეში არ უყვარდათ ებრაელები იმის გამო, რომ ისინი მწყემსები იყვნენ. ეგვიპტიდან გამოსვლა ნიშნავს არა ყესავიდან "გამოსვლას", არამედ ყესავის თვისებების სწორად აღებას.

როდესაც ნათქვამია, ლეა ტიროდა იმის გამო, რომ უფროსი და უფროსი - ყესავს - უნდა გაეყოლა ცოლად, ხოლო უმცროსი - რახელი - იაყაკოვს. მაგრამ იაყაკოვს ხომ ორივე და სჭირდებოდა, რახელიც და ლეაც. იმიტომ, რომ იაყაკოვი უფროსიცაა და უმცროსიც, იაყაკოვიც და ყესავიც. რატომ უყვარდა მას რახელი უფრო მეტად? იმის გამო, რომ, მის, როგორც იაყაკოვის თვისებებს არ უყვართ მისივე, მასში არსებული ყესავის მსგავსება.

გვინდა თუ არა, მინც შინაგანად ორი ძალაა მასში ისევე, როგორც თავდაპირველად რიკვას მუცელში იყო.

რატომ დააპატიმრეს ისრაელელი ჩინოვნიკები ?

ისრაელის პოლიციამ საქართველოდან ჩასული არალეგალური იმიგრანტების მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ეჭვმიტანილი ისრაელის ერთ-ერთი სამინისტროს მაღალჩინოსანი მოხელე და თელ-ავივის ბენ გურიონის სახ. აეროპორტის თანამშრომელი დააპატიმრა. გამოძიების მონაცემებით, მაღალჩინოსანი მოხელე და აეროპორტის თანამშრომელი ამ მომსახურებისათვის ათასობით დოლარს ლეზულობდნენ. სამინისტროს 45 წლის თანამშრომელი ეჭვმიტანილია ქრთამის მიღებაში, თალლითობაში, საზოგადოებრივი ნდობის გაცრუებაში, საზღვრის გადაკვეთის წესის დარღვევაში. აეროპორტის 26 წლის თანამშრომელს კი ბრალად ედება ქრთამის მიღება და

საზღვრის გადაკვეთის კანონის დარღვევა. ძიების მასალებიდან გამომდინარე, ბოროტმოქმედი საქართველოდან ჩამოსულ მიგრანტებს უტარებდნენ ინსტრუქციას, აეროპორტში შეუფერხებლად თუ როგორ გადაეკვეთათ სასაზღვრო კონტროლი. ისიც გახდა ცნობილი, რომ საქართველოდან ჩასულთ აცმევდნენ სასაზღვრო კონტროლის თანამშრომელთა ფორმას და მშვიდად გაჰყავდათ ტერმინალიდან. ძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც დაკავებული იქნა რამდენიმე მიგრანტი, რომელთა პასპორტებში არ აღმოჩნდა სახელმწიფოში შესვლის დამადასტურებელი შტამები. ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა საპარლამენტო კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ ივნისის თვის მონაცემებით, ისრაელში იმყოფება 79 000 უკრაინისა და საქართველოს მოქალაქე მიგრანტი, რომლებიც ისრაელში შევიდნენ უვიზო რეჟიმის შეღავათებით და აღარ დატოვეს ქვეყანა.

ცქალით ელოდნენ, მაგრამ სიტყვებით სრულყოფილად ვერ გამოსთქვამდნენ მეტისმეტი აღფრთოვანებისაგან, ჯერ კიდევ შუაზამთრის დიდთოვლობისას საკვირაო ბაზრობაზე სპეციალურად გზაზე ხედვობდნენ ახლომახლო სოფლებიდან მომავალ გლეხებს, რათა მათი ჩამოყვანილი ფრინველი გაესინჯათ ღირდა თუ არა საყიდლად და საფესახოდ შესანახად! სიქს-შრის დამცველნი ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ამჯერად საგანგებოდ უსინჯავდნენ სიცივით გათოვილ ფრინველს კანის ფერს, ფრთებისა და კიდურების მდგომარეობას! ორივე ხელში დაიჭერდნენ და ათამაშებდნენ ზევით-ქვევით, რათა საფესახოდ განკუთვნილი ბატის, ქათმისა თუ ინდაურის ხმაც გაეკონათ და ამით საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ მათ აბსოლუტურ სიქს-შრეში! როცა ყველაანაირად მოეწონებოდათ, ფულს მხოლოდ ამის შემდეგ გადაუხდიდნენ მათი უცნაური ქცევით გაოცებულ, მოთმინებიდან გამოსულ, სიცივით გათოვილ გლეხს!

მას შემდეგ, რაც მოიმარაგებდნენ საკლავს, შეუჩვენებდნენ თავიანთ ღარიბულ ბინაში ყველაზე მყუდრო და შესაფერ კუთხეს! მოუთბობდნენ და ჰკეპავდნენ დიდი მონღოლებით, რადგან ფესახში ოჯახის ძირითადი

საკეები მაცა და ამ ფრინველის ხორცი თუმცა მხოლოდ უწინა უნდა ყოფილიყო და თუ იგი საკმაოდ ცხიმოვანი არ იქნებოდა, რვა დღის განმავლობაში მაწიერობას ვერ გაუწევდა მის მრავალრიცხოვან ოჯახს! მაგრამ აქ სიმაართლეც უნდა ითქვას, მოვლილ-მოფერებული ფრინველი კარგად უფასებდა ამაგს კეთილ პატრონს, ყოველ დღილას თბილი და ქათქათა კვერცხით აჯილდოებდა მის მომრავლებულ წერიშვილს.

ასე გადიოდა დრო და თებერვალში, ყველაზე ცივსა და ქარბუქიან თვეში მოდიოდა ბეშალახის დღესასწაული გამოუშეი ჩემი ხალხი, რომელსაც სურამელი ებრაელები კორკოტობასა და შეიდფერობას ეძახდნენ! აი, მაშინ კი იწყებოდა გამოშვებულება სპეციალურად და დღისთვის შემონახული ხილის ჩირისა და ნაირ-ნაირი მურაბებისა, რომელთა უგვირგვინო დელოფალსაც კაკლის მურაბა წარმოადგენდა მთელი თავისი კუნაპეტებით შავი, ძვირფასი ბზინვარებითა და მიხაკის არომატით!

ბეშალახის შაბათ საღამოს სუფრის შუაში წყვილი თინის პურის გარდა მედიდურად იწონებდა თავს დიდი საუსე ლამაზიკორკოტის ფაფა ბატის ქონში დაბრაწული ხახვით! ბუბიაჩენი სიმხა, მაგალ-

ითად, ფაფისთვის მოხარშულ ხორბალს ვიდრე ფქვილს ამოუკიდებდა. ცოტადენს გადმოიღებდა ცალკე ერთ პატარა ჯამზე, მოაყრიდა შაქარს და მეორე დღეს ბავშვებს გაგატანდა ეზოში, ეს ჩიტებს დაუყარეთო!

მოგესვენებათ, მკაცრი ზამთრის დადგომის წინ მხოლოდ დიდსა და ძლიერ ფრინველებს ძალუძდათ თბილ ქვევებში გადაფრენა! პატარა, უმწეო ჩიტუნები კი სამშობლოში რჩებოდნენ, ნაწილი მათი სიცივი-სგან იღუპებოდა, ნაწილი კი, შიმშილით! ბავშვები ველოდით იმ მცირედენ ნაწილს, რომელიც ზამთრის სიმკაცრეს გადაურჩა, საოცრად გვიხაროდა ამ მისის შესრულება თეორ, ქათქათა თოვლზე ღამაზად მიმოვანებდით მოხარშულ, შაქარმომყრილ ხორბლის მარცვლებს და გულისფანცქალით ველოდით ჩიტების გამოჩენას! სიცივით ვითოშებოდით, მაგრამ ადგილიდან არ ვიძროდით და სახლში არ შევდობოდით, ვიდრე დეღები არ გამოგვახებდნენ თბილი ოთახიდან სანამ მაგ ადგილს არ მოშორდებით, ჩიტები არ მოეკარებინ, სახლში შემოდით და აქედან უცქირეთო, თითო-ორიოლა ჩიტი მართლაც გამოჩნდებოდა გემრიელი საკენკისთვის და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა,

თემატიკის ბარჯილი კაცი

ილია მოსიაშვილი

ჩვენმა თემმა დიდი დანაკლისი განიცადა-ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ- 82 წლის ასაკში გარდაიცვალა ბიზნესმენი და მეცენატი ილიკო (ილია) მოსიაშვილი.

ი. მოსიაშვილი დაიბადა ქ. მიხა-ცხაკაიაში, თემით ტერფამდე ებრაული სულისკვეთების, ტრადიციების ერთგულად მიმდევარ და დამცველ მიხედვით დასარას ოჯახში. იქვე, ქ. მიხა-ცხაკაიაშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლესი განათლების მისაღებად ქ. სასკტ-პეტერბურგს (იმდროინდელი ლენინგრადი) გაემგზავრა. იქ ინჟინრის სპეციალობას დაუფლებული ერთხანს ამავე ქალაქში მსახურობდა, რის შემდეგაც საქართველოში დაბრუნდა.

ფართო გახლდათ ილიკო მოსიაშვილის შრომითი მოღვაწეობის არეალი-იგი საქმიანობას ეწეოდა რუსეთში, ავსტრიაში, ისრაელში და ბოლოს ის-

რაელის მოქალაქეს, მაინც საქართველოსაკენ გამოუჩინა გულმა. სადაც კი იგი იღვწოდა, დაიგლო ერთობ პატიოსანი, მუყაითი, მშრომელი კაცის სახელი. ილიკო მოსიაშვილის გარდაცვალება, ცხადია, დიდი დანაკლისია მისი მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, დისა და ძმისათვის, მაგრამ ასევე დამწუხრებულთა შორისაა საქართველოს ბევრი მოქალაქე-ქართველი, თუ ებრაელი, ბოლო თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ილიკო ხომ საქართველოში საქმიანობდა და ყველას, ვისთანაც გახლდათ დაკავშირებული, ერთობ თბილად დაამახსოვრა თავი-ზოგს საქმე მისცა და ცხოვრების საშუალება გაუჩინა, ზოგს დახმარება აღმოუჩინა, ზოგს კიდევ სხვა, იმდენად კეთილი სამსახური გაუწია, რომ დაუფინსარ პიროვნებად ექცა.

ილიკო მოსიაშვილის ცხოვრების გვირგვინი გახლავთ ის, რაც მან სიცოცხლის ბოლო წლებში გააკეთა-თბილისიდან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე - ბაზალითის ტბის პირას ააშენა დიდი დასასვენებელი კომპლექსი, რომელსაც ალბათ, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა ილიკო მო-



სიაშვილის სახელს მიანიჭებს. დიახ, ამ გამრჯე, ერთუზიზომით აღვსილმა პიროვნებამ, არა მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებს, უცნობ ადამიანებსაც კი გადასცა თავისი გულის სიტობ, თბილისის შემოგარენსაც კი დააბრუნა თავისი მზრუნველი ხელი და ამითაც შეასრულა იუდაიზმის მიერ ადამიანისათვის ნაყენებული პირობა: ამქვეყნად მოსული ყოველი ადამიანი მოვალეა უკეთესი გახადოს თავისი გარემომცველი სამყარო.

ილია მოსიაშვილი: მხოლოდ და მხოლოდ სუთთა ბიზნესი მაქვს...



ნმეს, დიდი ამბავი ატყდებოდა. ყველა მივიღო, ნახავდა. მეგობრებო, დღე-ისათვის 17 მილიონი დოლარი მაქვს შემოტანილი, მე შემძლია ეს საბუთებით დაგემტკიცოთ, არ ეგონოს არავის, რომ ეს არის რაიმე გზით მოტანილი ფული, ეს არის სუთთა ფული და არის მხოლოდ და მხოლოდ იმ ხალხის დანა-ზოგები, რომლებსაც საქართველოსთვის სიყვით უნდათ და იცოდეთ, ბაზალეთს ბევრი უყურებს. ბაზალეთიდან დაიწყება, გაიხსნება ბევრი სიყვით. თქვენთვის დამალული არ არის მსოფლიო ებრაელობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია ენომიისა და ფინანსების დარგში და მოდით, ნუ გაუკეთებთ ისეთ რამეს, რომ მე მათთვის გავხდე მაგალითი და თქვან, აი, ის ჩავიდა, ცხვირი გაიტეხა და წავიდა. მე მინდა რომ საქართველოში სიყვით იყოს. ეს ქვეყანა ლამაზი ქვეყანაა, ეს ქვეყანა მშვენიერი ხალხითაა დასახლებული, ასეთი მოყვრება, ასეთი გრძობა, ასეთი სიყვარული დამერწმუნეთ, ბევრგან არ იციან. მოდით, მსოფლიოს შევაყვართ ეს ქვეყანა. ბ-ნი ფინანსთა მინისტრი, რომელიც დღეს გამოვიდა, როდესაც მან და-აოვალდებინა ჩვენი კომპლექსი, თქვა: - ილია, მე თქვენ გვერდში გადადგებით. მე არ ვიტყვი, რომ ამჟამად ის უკან იხევს, ის ფინანსებს განაგებს და... ერთი რამე კი საყურადღებოა, მე მას არაფერი ვთხოვ, არცერთხელ არ მითხოვია ჩემთვის დახმარება. მე ფული შემომაქვს ბანკით და არავითარი სხვა ფული აქ არ ფიგურირებს.

ბრძანდით, ნახეთ რას ვაკეთებთ. იქნებ, საშინელებას ვაკეთებ? ნახვის მერე, იქნებ ყველამ გაითავისოთ და დამეხმაროთ სახელმწიფო პერეგატების საკითხებში. გზა სახელმწიფოსა და თქვენ უნდა გააკეთოთ. მე მივმართე ბ-ნ ბორისს და თქვენც მომართეთ ბატონო პრეზიდენტო, რომ შესაძლოა თანხების მოძიება, გზის გასაყვებლად, მხოლოდ შემდეგ ის ჩავიფიქრებთ გადასახადებში. ამასვე უარი მივიღე, რატომ, ეს ჩემთვის გაუგებარია! ფული, რომელიც დღეს სახით იყო, სანამ ახალი დადგენილება გამოვიდოდა, ის თანხა უნდა დაებრუნებინათ ჩემთვის. ის ფულიც არ დამბრუნეს, გარდა ამისა, შეუწყვეტლივ მამოწმებენ და მამოწმებენ. ექვსჯერ გადაიღო სასამართლო და დღემდე დაუდგენელია მეკუთვნი თუ არ მეკუთვნი ეს ფული. ბოლოს მივიღე იმ ზომამდე, რომ ვთქვი თავი დაეხმარებინათ. აღარ მინდა ფული! საქართველო ხომ უნდა წაიწიოს წინ. მაპატიეთ, არ მინდა სხვათადავ ვთქვა რამე. მუხუზებთ, დაეხმარეთ ტურინზს, ტურინზი არის სპორტის მშველელი ერთ-ერთი დარგი. თუ ამომიდეგებით გვერდში, ძალიან კარგი იქნება, თუ არა და იმას მაინც არ იტყვიან არავინ, რომ მსოფლიოში დღემდე უმეტი რაიმე არ არსებობს.

მოვიდესო და მოელი ქვეყანა იყო გამოიფინი. გახსოვთ გოი ბუცხრი, კიდე იყო, ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნება, მოვიდა და მოიყვანეს 6-7 კაცი. რა უნაო? - კეთილბუნა გოი, ამბროსევი ეუბნება ბიუჯეტისთვის ეს წარმოება ძალიან კარგიაო და არავითარ შემთხვევაში ამას მე არ დავებურავო, უნდა მოუხერხოთ, რაღაც უნდა გავაკეთოთ. გოი უკითხება: - რა გავაკეთო, ყველაფერი გავაკეთო, საწმენდი დანადგარები, რაც იყო სულ ყველაფერი დავიღებო და მაინც ხმაურობსო. ეს იყო პავლევის ქუჩაზე საშენ-მასალათა კომბინატი. ამბროსევიმ უთხრა: - გოი, იცი რა გითხრაო, გასაწმენდი დანადგარი ხომ დავიღებო, ხმას ორჯერ აუწიეო. გავიფიქრე ეს კაცი, რას კვირა ორჯერ აუწიო, აგავიფიქრებენ ამბროსევი. - აუწიე რაღაც გვეუბნებიო - უთხრა. კარში რომ გადიოდა, ხალხი შეეკითხა რა გადამეყვითო, ასე მოუკო - ყველაფერი რიგზე იქნებაო. გოიმ იმ საღამოს ორჯერ აუწია ხმას და სამხელი ამბავი დატრიალდა. მოვარდნენ დიღას, რა გააკეთე კაციო, ანა რაზე მოკლა, ასწ, თქვენი ჭირიმი როგორც იყო ადრე, ისე მაინც დავაყვითო.

2003 წლის 23 ივლისს საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილეს ბაზალეთში მშენ-ბარე იომპლექსის საერთო. სხდომაზე მიხედული იყო ბი-ზნეს მენ-ბაზალეთის იომპლექსის იორინაციონი ილია მოსიაშვილი. ვთავაზობთ მისი გამოხატვის ჩანაწერს.

ის თქვენი მოქმედება. მე კარგად მახსოვს თქვენი ფრაზა: - ილია მოსიაშვილი და ყველაფერი გაკეთდება. საქართველოში დაბადებული კაცი ვარ და ეს კარგად მოგუხსენებთ. მე არ მოვსულვარ არსად და თქვენ მიცნობთ არა ბაზალეთიდან, არამედ იმ დროიდან, როდესაც სხვა საწარმოებს ვაშენებდი და თქვენს მიერ არაერთი ზონარი გაჭირდა იქ. უდრემეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბ-ნი სახელმწიფო მინისტრო, მინდა ერთი რამ ვთქვა: ისეთი ქვეყანა, როგორც საქართველოა დიდი მომავლის ქვეყანა. შემეძლო არ ჩამოვსულიყავი, კარგა ხანი წასულიყ ვიყავი, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ საქართველოს სიყვარულმა ჩამომიყვანა აქ. არ გამოვიტო სხვათადავ, თუ ჩამოვიდი და ვაშენებ და ვაკეთებ არავითარი სხვა მინებები არ გამაჩნია, მხოლოდ და მხოლოდ სუთთა ბიზნესი მამოძრავებს, რომელიც მე მაქვს. კომუნისტების დროს სამი უდიდესი ქარხანა აშენდა ჩემი ხელმძღვანელობით, ორი მათ შორის ბ-ნი პრეზიდენტის უშუალო ხელდასხმით აიგო. დღესაც მინდა გავაკეთო რაღაც კარგი, რომ ამ ქვეყანაში დარჩეს. ყველა ალბათ, 500 000 ან მილიონი დოლარი რომ ჩამოეტანა ვი-

გამიგეთ, მე ამ ფულის ჩაღება სხვა-განაც შემეძლო, მაგრამ ხომ არის რაღაც - რასაც სიყვარული ჰქვია, კაცს სიყვარული უნდა ჰქვია, ჩემი მამა-პაპანი, ნათესავ-ახლობლები აქ არიან დასახლებულნი და რა გასაკვირია, რომ გვიყვარდეს ჩვენი კუთხე. აქედან წასულ უამრავ ადამიანს დღემდე უყვარს ეს ქვეყანა. დამერწმუნეთ, ბაზალეთი მაინც აშენდება, მაგრამ ეს დროულად უნდა გააკეთოთ და თქვენ ნახათ რამდენ სიყვითეს მოუტანს ეს ქართველ ხალხს. ეს იქნება მსოფლიოს ხალხთა შეხვედრის ადგილი, ეს იქნება ყველასთვის საყვარელი ადგილი.

მალან გთხოვთ, ყურად იღეთ, ამო-რა" ოცი წლისაა უკვე ოცი წელია, რაც თბილისელები ამ ფესტივალის მეოხებით ეცნობიან, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოს თეატრალურ ხელოვნებაში. ასე იყო ნელსაც-ამ ფესტივალის სტუმრები გახლდნენ და თბილისელებს თავიანთი ხელოვნება წარმოუდგინეს გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის, ისრაელის, ფინეთის თეატრებმა. 7 და 8 ნოემბერს თბილისის მიხ. თუმანიშვილის სახ. თეატრში სპექტაკლი წარმოადგინა ისრაელის ქალაქ ბეერ შევის თეატრმა AYIT. ბეერ შევის თეატრმა გაითამაშა ნ. გოგოლის „შემოქმედების ნერილები“ თავი-

მთავარი ინტერპრეტაცია „B POLAR“, რომელიც რეჟისორ იოავ მიქაელს ეკუთვნის. სცენოგრაფი გახლავთ ავი სერვი, ვიდუო არტზე იმუშავა ელი ლევისმა. აი, რას ამბობს „B Polar“-ის თაობაზე დამდგმელი რეჟისორი იოავ მიქაელი: -პიესა ძიებაა, გულწრფელი კვლევა და მცდელობა ახალი არავერბალური ენის აღმოჩენისა, მასში გაერთიანებულია ვიდუოხელოვნება, მოძრაობა და მუსიკა, რაც ერთი მხრივ თეატრსა და კინემატოგრაფიულ მედიას შორის კავშირს მდის და მრავალი დისციპლინის შერწყმით, ამბის თხრობის ახალ ფორმას თხზავს.

დაამუშავებლნი და გამომცემებლნი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეპისტირირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში. მისი. რეპისტირაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557

7971987898003

„მენორა“. 2003 წ. №15.